ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 26 აგვისტო, 2016 №202 (7128) ფასი: 50 თეთრი

## ზვიად კუპრავა: „არ მინდა, ჯაჭვლიანს კიდევ ხელფასი ვუხადო“



გვ.4

„ხელისუფლებამ ხალხის დაშინება გადაწყვიტა“

26 აგვისტოდან

ბორის აკუნინი

გრიგოლ ჩხარტიშვილი

საასაფლაოს ამბები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# სანდრა რულოვსი ნაციონალების მე-2 ნომერი გახდა



გვ.2

## „მზად ვარ ამ ბრძოლისთვის“

1. დავით ბაქრაძე; 2. სანდრა რულოვსი; 3. ელენე ხოშტარია; 4. რომან გოცირიძე; 5. ნიკა მელია; 6. გიორგი ტუღუში; 7. ოთო კახიძე; 8. სალომე სამადაშვილი; 9. ირაკლი აბესაძე; 10. სერგი კაპანაძე; 11. სერგო რატიანი; 12. გიორგი კანდელაკი; 13. ლელა ქებურია; 14. აკაკი ბობოხიძე; 15. გიგა ბოკერია; 16. თენგიზ გუნავა; 17. ირმა ნადირაშვილი; 18. მამუკა ჩიქოვანი; 19. თინათინ ბოკუჩავა; 20. გიორგი თევდორაძე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

## არჩილ გამზარდია: „ოცნებას“ ივანიშვილი აღარ სჭირდება“



გვ.5

„ოცნება“ ობლად არ დარჩა. „ოცნებას“ საკმაოდ გავლენიანი სუბიექტები ჰყავს ქვეყანაში, შეიძლება, რაღაც საკითხში – ბევრად უფრო გავლენიანები, ვიდრე ივანიშვილი იყო ადრე“



## ალეკო ელისაშვილი: „ნარმანია „ოცნებას“ რეიტინგს უროთი უნგრევს“



გვ.3

„მის მოხსნას ხალხი მე მთხოვს“

## ნატა ფერაძე: „ვიგინებოდი ყოველთვის და გავაგრძელებ გინებას“



გვ.3



გვ.2

კახა კალაძე: „მაღალი თანამდებობის პირებს უფრო მეტი მოთმინება მართებთ“

## კახეთსა და თუშეთში მეცხვარეები მატყლს ვერ ყიდიან



გვ.6

დაბალი ფასის გამო

## დავით ნარმანია: „ჩემი გადადგომის საფუძველი არ არსებობს“



გვ.3

## საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „დავით ნარმანიას ავტორიტეტი ნულს მიუახლოვდა“



გვ.2

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სანდრა რულოვსი ნაციონალების მე–2 ნომერი გახდა

## „მზად ვარ ამ ბრძოლისთვის“

გუშინ, 25 აგვისტოს, ცნობილი გახდა, რომ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა – სიის მე-2 ნომრად სანდრა რულოვსი დასახელდა.

ნაციონალების სიის ოცეულის ახალი ვარიანტი პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე გასაჯაროვდა:

1. დავით ბაქრაძე; 2. სანდრა რულოვსი; 3. ელენე ხოშტარია; 4. რომან გოცირიძე; 5. ნიკა მელია; 6. გიორგი ტუღუში; 7. ოთო კახიძე; 8. სალომე სამადაშვილი; 9. ირაკლი აბესაძე; 10. სერგი კაპანაძე; 11. სერგო რატიანი; 12. გიორგი კანდელაკი; 13. ლელა ქებურია; 14. აკაკი ბობოხიძე; 15. გიგა ბოკერია; 16. თენგიზ გუნავა; 17. ირმა ნადირაშვილი; 18. მამუკა ჩიქოვანი; 19. თინათინ ბოკუჩავა; 20. გიორგი თევდორაძე.

– ნაციონალური მოძრაობის პარტიის ოფისში დღეს პირველად შემოვედი, – განაცხადა სანდრა რულოვსმა ნაციონალების ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე განმარტებით, ვინაიდან პარტიამ მაჟორიტარ კანდიდატად და საპარლამენტო სიის მეორე ნომრად წარადგინა, მზად არის, პოლიტიკურ ბრძოლაში შევიდეს.

– ეს არის ჩემთვის დიდი პატივი. მზად ვარ ამ ბრძოლისთვის. მე დარწმუნებული ვარ ჩვენს გამარჯვებაში და ასეთ გაძლიერებულ, განახლებულ



გუნდს, როგორიც ჩვენ გვყავს, ნამდვილად სჭირდება და ეკუთვნის მთელი ხალხის მხარდაჭერა, – განაცხადა ნაციონალების მე-2 ნომერმა.

მან თქვა, რომ ქართველი ხალხის ძლიერი გონებრივი შესაძლებლობების სჯერა და თვლის, რომ ისინი სწორ არჩევანს გააკეთებენ, რათა საქართველო წინ წავიდეს.

– უკეთესი მომავლის შექმნაში შევეცდები, დავეხმარო ამ გუნდს. ეს არ არის ადვილი ნაბიჯი. მეტიც, მე დღეს პირველად შემოვედი ამ პარტიის ოფისში და ვითხოვე გიდობა, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, სად რა როგორ არის ორგანიზებული, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

მან თქვა, რომ არის იმის გარანტი, რომ ძალადობა აღარ განმეორდება. რულოვსმა სამეგრელოში გაკეთებული განცხადება განმარტა, რომელიც წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში ძალადობის არსებობას ეხებოდა.

– ჩვენი მხრიდან იქნება ამის კონტროლი. ჩვენ ისეთი გუნდი გვყავს, რომელიც მეორედ ასეთ შეცდომას არ დაუშვებს, – აღნიშნა სანდრა რულოვსმა.

მან იმაზეც ისაუბრა, თუ რატომ აირჩია მაჟორიტარულ ოლქად ზუგდიდი.

– მე არა მარტო მეგრული სიმღერით, საჭმლითა და ენით ვარ მოხიბლული, არამედ სამეგრელო ძალიან ძლიერი რეგიონია. მზად ვარ, ზუგდიდის რაიონში ვიმუშაო და ვესაუბრო ხალხს მათ პრობლემებზე, რომლებიც მთელ ქვეყანაშია და არა მარტო სამეგრელოში. მე უნდა ამერჩია ჩემთვის მნიშვნელოვანი რაიონი, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი და ავირჩიე ზუგდიდი, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

ნაციონალების სიის მე-2 ნომერი აჭარაში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტსაც შეეხო.

როგორც სანდრა რულოვსმა აღნიშნა, ქალთა შეხვედრაზე, რომელსაც ისიც ესწრებოდა, რამდენიმე მამაკაცი იმყოფებოდა, რაც აფიქრებინებს, რომ ინციდენტი ხელოვნურად იყო პროვოცირებული.

– ეს მოხდა 2 დღის წინ საღამოს. აჭარაში, სადაც ქალთა ორგანიზაციასთან მქონდა შეხვედრა და იქ უბრალოდ ერთი ქალი შემოვიდა, რომელიც ხმამაღლა საუბრობდა. მან არ მისცა საშუალება ერთ-ერთ ადამიანს, რომელიც იმ დროს კითხვას სვამდა. მე ეს არ მომეწონა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რადგან ზრდილობის მომენტი იყო აქ. ქალთა შეხვედრა იყო და 5 ბიჭი იმყოფებოდა იქ, რაც გასაკვირი იყო. ესე იგი რაღაც ხელოვნურად შექმნილი სიტუაცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ მე მყავს დაცვა, თვითონ აჭარელმა ქალებმა გააბრძანეს ის ადამიანი ეზოდან, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

კითხვას, გამორიცხავს, თუ არა ნაციონალური მოძრაობა, რომ მსგავსი ინციდენტები მომავალში აღარ განმეორდება, ნაციონალების სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ ასე უპასუხა:

– ამ კითხვის ადრესატი არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ ხელისუფლებაა.

დავით ბაქრაძემ სანდრა რულოვსის სიის ათეულში ყოფნას მნიშვნელოვანი უწოდა.

– ეს არის ჩვენი განაცხადი გამარჯვებაზე, – თქვა მან.

ბატონი ბაქრაძის აზრით, ეს არის დადებითი მოვლენა, პირველ რიგში, იმ ადამიანებისთვის ზუგდიდში, ვისაც საქართველოს პარლამენტში ეყოლება ძალიან კარგი მაჟორიტარი.

– ეს არის კარგი ამბავი ასევე საქართველოსთვის, ვინაიდან ქალბატონი სანდრას შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში ნამდვილად არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს არის დადებითი მოვლენა ქართული პოლიტიკისთვის და არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის, – განაცხადა ბაქრაძემ.

ნაციონალები დარწმუნებული არიან, რომ სანდრა რულოვსი პირველივე ტურში გაიმარჯვებს ზუგდიდის მაჟორიტარულ არჩევნებში, თუმცა სიაში მისი ყოფნა მნიშვნელოვანია.

– მისი სიაში ყოფნა, მისი პირველ ათეულში ყოფნა არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ეს არის ჩვენი განაცხადი გამარჯვებაზე. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი გამარჯვებისკენ და იმისკენ, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ გუნდით, კომპეტენტური, მცოდნე და მოტივირებული ადამიანების გუნდით დავიწყოთ ხალხის პრობლემების გადაჭრა, – განაცხადა ბაქრაძემ.

## გია ხუხაშვილი: „დავით ნარმანიას ავტორიტეტი ნულს მიუახლოვდა“

– როდესაც ადამიანი ცდილობს გამოვიდეს, როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადად მისთვისაც ბუნებრივი ჩარჩოებიდან, ასეთი ადამიანი შეიძლება უკვე შეუსაბამო იყოს სტატუსთან.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა განუცხადა, რითაც თბილისის მერ დავით ნარმანიას მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისადმი გამოყენებულ რეპლიკას: „მაიმუნი, ვირიშვილი“ გამოეხმაურა.



როგორც ხუხაშვილმა განაცხადა, სამართლებრივად, ამჟამად დავით ნარმანიას გადადგომის საფუძველი არ არსებობს, რაც შეეხება მორალურ მხარეს, პოლიტოლოგის თქმით, საკუთარ მორალურ პასუხისმგებლობასა და შესაბამის შედეგებზეც მერი პასუხს თავად აგებს.

**გია ხუხაშვილი:**

– როგორც ჩანს, მთლად კარგ მდგომარეობაში არაა. მისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი საქციელი იყო. რატომღაც ის თვლის, რომ რაც არის მისი ბუნებრივი მდგომარეობა, ის არაა კარგი და აუცილებლად უნდა იუზრდელოს.

როდესაც ადამიანი, ცდილობს გამოვიდეს როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადად მისთვისაც ბუნებრივი ჩარჩოებიდან, ასეთი ადამიანი შეიძლება უკვე შეუსაბამო იყოს სტატუსთან. დანარჩენი თვითონ უნდა ნახოს. არ გადადგება და შესაბამისად, შედეგებზეც თვითონვე უნდა იყოს პასუხისმგებელი.

ფაქტია, რომ ისედაც არ ჰქონდა მაღალი ავტორიტეტი და ახლა მისი ავტორიტეტი ნულს მიუახლოვდა. ეს მისთვის სამომავლოდ დიდი პრობლემა იქნება.

რაც შეეხება უშუალოდ ხეების ჭრასთან დაკავშირებულ საკითხს, პოლიტოლოგის აზრით, „თუ ხეები იჭრება და პირობითად უკანონობა ხდება, აქ შეიძლება იყოს სხვადასხვა დონის პასუხისმგებლობა“.

– შეიძლება იყოს მერის, შეიძლება რომელიმე სამსახურის უფროსის ან ვინმე სხვისი. ეს კონკრეტული მოკვლევის საგანია. მე არ ვიცი, რამდენად მიდის კვალი უშუალოდ ნარმანიასთან, – აღნიშნა ხუხაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## კახა კალაძე: „მაღალი თანამდებობის პირებს უფრო მეტი მოთმინება მართებთ“

– მაღალი თანამდებობის პირებს უფრო მეტი მოთმინება მართებთ, – განაცხადა

საქართველოს ვიცეპრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, რითაც თბილისის მერ დავით ნარმანიას მიერ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლისადმი გამოყენებულ გამონათქვამს – „მაიმუნი, ვირიშვილი“ – გამოეხმაურა.



როგორც კალაძემ აღნიშნა, ერთმანეთის მიმართ მეტი პატივისცემის გამოჩენაა საჭირო.

**კახა კალაძე:**

– მეტი პატივისცემა გვმართებს ერთმანეთის მიმართ. არ აქვს მნიშვნელობა, არასამთავრობოს წარმომადგენელი ხარ, ჟურნალისტი თუ მაღალი თანამდებობის პირი, ვფიქრობ, უფრო მეტი სიყვარული, უფრო მეტი პატივისცემაა ერთმანეთის მიმართ საჭირო და მაღალი თანამდებობის პირებს უფრო მეტი მოთმინება მართებთ.

**ინტერპრესნიუსი**

## სოსო ცინცაძე: „საოცარია, რომ ნარმანია სხვას უწოდებს „მაიმუნს“

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრით, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის დედაქალაქის მერი, რომელიც დავით ნარმანიას მსგავსად მოიქცეოდა, იმავე დღეს ბოდიშს მოიხდიდა და თანამდებობას დატოვებდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცინცაძემ განუცხადა, დავით ნარმანიას საჯარო სამსახურში მუშაობა და საჯარო სივრცეში ადამიანებთან ურთიერთობა საერთოდ უნდა აეკრძალოს, რადგან მან ადამიანებთან ურთიერთობა არ იცის.



**სოსო ცინცაძე:**

– არა მხოლოდ ცივილიზებულ სახელმწიფოში, სხვა ტოტალიტარულ სახელმწიფოთა უმრავლესობაშიც და თვით რუსეთშიც კი მერი გადადგებოდა.

100%-იანი გარანტიით შემიძლია გითხრათ, რომ სერგეი სობიანინს ამის ნახევარი თავხედობა რომ გამოეჩინა, პუტინი მას საჯაროდ ურჩევდა, გადამდგარიყო. საოცარია ის, რომ ნარმანია სხვას „მაიმუნს“ უწოდებს. ეს არავითარ ჩარჩოებში აღარ ჯდება. სახელმწიფო მოხელეობა მხოლოდ პრივილეგიები ჰგონიათ და ეს მხოლოდ ნარმანიას არ ეხება.

ქართულმა ჩინოვნიკურმა ფენამ ვერ გაათვითცნობიერა ის ფაქტი, რომ ისინი დროებით დაქირავებულები არიან. მე რომ ხმა მიმიწვდებოდეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს შევეკითხებოდი – ულირს ეს არაფრის მაქნისი მერი, რომელიც ამავე დროს ქართველი ადამიანისთვის მიუღებელ და შემაძრწუნებელ უხეშობასა და უზრდელობასაც ავლენს საჯაროდ.

პოლიტოლოგის თქმით, ნარმანია თავად არ გადადგება და ამიტომ საზოგადოებამ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს უნდა მოსთხოვოს, რომ თბილისის მერს გადადგომა აიძულოს.

– ეს საჯარო გინება იყო ფაქტობრივად, თანაც ორმაგი. თან ვინ ამბობს ამას, რომელი გრეგორი პეკი ან ალენ დელონი ეგ მყავს?!

ეს არის, ალბათ, ზენიტი, რომლის მიღმაც არის ის, რომ იარაღი ამოეღო და ესროლა სხდომაზე. თბილისის მერია თბილისელებისთვის იქცა კატასტროფად. მე არ ვიცი, რა დაუშავა თბილისმა და თბილისელებმა ივანიშვილს?! ნარმანიასგან კი არ უნდა მოითხოვოს საზოგადოებამ რომ თვითონ გადადგეს, არამედ ვინც დანიშნა, იმისგან უნდა მოითხოვოს საზოგადოებამ, რომ დავით ნარმანიას წასვლა მოსთხოვოს, – განაცხადა ცინცაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო ელისაშვილი: „ნარმანია „ოცნებას“ რეიტინგს უროთი უნგრევს“

## „მის მოხსნას ხალხი მე მთხოვს“

ნონა ცაბაძე

თბილისის მერ დავით ნარმანიას საქციელის შესახებ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ალეკო, საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან უკვე ისმის შეფასებები, რომ დავით ნარმანიას მხრიდან მიმართვა „მაიმუნო ვირიშვილო“ უკვე ბოლო წვეთი იყო. დადგება დღის წესრიგში მისი გადაყენების საკითხი?***

– არ ვიცი. სახლიდან ფეხით მოვდიოდი. არც ისე შორს ვცხოვრობ საკრებულოდან. ქუჩაში ერთმა ათმა კაცმა გამაჩერა და ყველანი რატომღაც მე მთხოვდნენ, რომ როგორღაც მომეხსნა ნარმანია (იცინის). მე როგორ უნდა მოვხსნა, ოღონდ არ ვიცი... ეს ჩემზე დამოკიდებული არ არის, თუმცა, ჩემთვის ნამდვილად იყო ბოლო წვეთი, ვინაიდან ორი წელია ვუყურებთ ნარმანიას საცოდაობას, უხერხემლობას, უუნარობას.

***– რით გამოიხატება მისი საცოდაობა და უუნარობა?***

– 21-ე საუკუნეში ორმო ვერ ამოუვსია, როცა ქალაქები რაღაც საოცარ კონსტრუქციებს ახორციელებენ. სხვაგან საოცრებები ხდება და ჩვენთან მხოლოდ ორმოს ამოვსებაზე ვლაპარაკობთ, ხეები არ მოჭრა და ეზოში კორპუსს ნუ ააშენებ, ჯერ კიდევ ამაზე ვართ გაჩერებულები! ნატამალი ღირსება და ამ ქალაქის პატივისცემა რომ ჰქონდეს, დღესვე თვითონ მიიღებდა გადაწყვეტილებას და წავიდოდა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ის არის თბილისის ისტორიაში ყველაზე არაეფექტური მმართველი, ვინც კი ოდესმე ყოფილა. დავიღალეთ ორი წელია მისი უუნარობის ყურებით! გასაბჭოების პირველ თვეებში, თბილისის რევკომი რომ იყო, სილიბისტრო თორდიაც კი გაცილებით ეფექტური მმართველი იყო, ვიდრე ეს კაცია! ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ აღმოჩნდა, ის არის უზრდელი და ძალით ძველი ბიჭი. გაძველბიჭებული საკუთარ კაბინეტსა და საკუთარი მხარდამჭერების გარემოცვაში.

***– ნარმანიას ნერვებმა უმტყუნაო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ.***

– ჩვენ გვიმტყუნებს მალე ნერვები მისი საცოდაობის შემყურეს! გამოდის და ამბობს, გახშირდა თვითნებური ქუჩის გადათხრა, არაფერზე პასუხს არ აგებს, არავისზე პასუხს არ აგებს. მილიონი მოადგილე შეეცვალა, მილიონი გამგებელი, სამსახურის უფროსი და არც უნდა იმის თქმა, რომ იმ ხალხში კი არ იყო პრობლემა, მასშია პრობლემა.

***– რატომ, რა ხდება? არ ემორჩილებიან? არ აქვს მართვის სტილი? არ შეუძლია იყოს ხელმძღვანელი პირი თუ რაშია პრობლემა?***

– ყველამ იცის, რომ ის არის ნომინალური და უხერხემლო ფიგურა და ამიტომ ყველა ცდილობს, თავისი საქმე აკეთოს. მერია გადაიქცა ფულის კეთების ერთ დიდ დაზგად. დაცვის თანამშრომლებიდან დაწყებული, მერის მოადგილეებით დამთავრებული, მთავარი არქიტექტორი, რომელიც, კიდევ კარგი, გაუშვეს, იმდენად ჩაფლული იყო კორუფციაში, ყველა ცდილობს, რომ ფული გააკეთოს. დაინახეს, რომ მერი არის უთავბოლო და არაფრის მაქნისი და ვის რისი კეთებაც შეეძლო, იმას აკეთებდა. ან ქალაქს შეხედეთ, რას ჰგავს! თუ რამეს აკეთებს, იმასაც უკუღმა აკეთებს. შუქნიშნები დააყენა და ისინიც არ მუშაობს.

***– რატომ, არ ჰყავს კომპეტენტური კადრები?***

– კადრები კი არა, თვითონ არის არაკომპეტენტური. სხვა ხერხემალი სჭირდება, სხვა უნარები და სხვა შესაძლებლობები! ეს უნარები კი ან გაქვს და ან არ გაქვს. ის არის ნატურით მოადგილე. მოწოდებით მოადგილეა და გაქანებით მოადგილეა.

***– დავალებას კარგად შეასრულებს?***

– დიახ, რომ დაავალებ და შეასრულებს. არ ჰყავს დამვალებელი, აცეცებს აქეთ-იქით თვალებს და ამასობაში დაინგრა ქვემოთ ყველაფერი. მერია არ არსებობს. თბილისი მერია არის ნომინალური სტრუქტურა, სადაც დილით ადამიანები მიდიან, მთელი დღე ყავას სვამენ, საღამოს სახლში მიდიან და ამაში იღებენ ხელფასს. წარმოგიდგენიათ, ხეები მოიჭრა შუაგულ ქალაქში, 45 ხე და ნარმანია იძახის, დაველოდოთ გამოძიებასო. კაცო, შენ ხომ გაეცი ამ ხეების მოჭრის ნებართვა?! თუ გაეცი, აიღე პასუხისმგებლობა და თქვი, რომ საჭირო იყო და იმიტომ მოვჭერი, ან თუ შენ არ გაგიცია და ვიღაცამ შენ ზურგს უკან გააკეთა, დასაჯე ის ადამიანი! აქ მხოლოდ ორი გამოსავალია. მაშინ ავდგეთ და პროკურატურა დავნიშნოთ თბილისის მერად და პროკურატურამ მართოს ეს ქალაქი!

***– ამბობენ, რომ ამ სიტუაციაში ნარმანია მართალია, ხეები კვირიკაშვილის მეგობრებმა მოჭრეს, რომლებიც ამ სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელები არიან. იქნებ სწორედ ამიტომ არ აქვს პასუხი ნარმანიას?***

– მე სულ არ მაინტერესებს, ვინ ვისი მეგობარია! თბილისი მერი არის დავით ნარმანია, მას დაქვემდებარებული გამწვანების სამსახური გასცემს მოჭრის ნებართვებს და მას დაქვემდებარებული ზედამხედველობის სამსახური აკონტროლებს ხის მოჭრის პროცესსაც და დანარჩენ პროცესებსაც. ვინ ვისი ძმაკაცი და ბიძაშვილია, არ მაინტერესებს! ჩვენ ხელფასს ვუხდით ნარმანიას, რომ მან ქალაქს მიხედოს!



***– დღეს ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ თავიდანვე დიდი შეცდომა იყო მისი ამ თანამდებობაზე არჩევა.***

– „ოცნებამ“ დაგვაყენა ძალიან ცუდი არჩევანის წინაშე, რომ ან ნაციონალების კანდიდატისთვის უნდა დაგვეჭირა მხარი, ან ნარმანიასთვის. ცუდსა და უარესს შორის მე ცუდი ავირჩიე. რა ვქნა, სხვა არჩევანი არ იყო. ჰყოლოდათ უკეთესი კანდიდატი და ეს „ოცნებისთვისაც“ კარგი იქნებოდა და დანარჩენებისთვისაც. თუ დღეს „ოცნება“ იმას ვერ ხვდება, რომ ეს კაცი უნგრევს წინასაარჩევნოდ რეიტინგს, უროთია მიმდგარი და თავისი ქმედებებით ლეწავს და ამსხვრევს რეიტინგს, ეს მისი პრობლემაა.

***– ხელს აძლევს „ოცნებას“, რომ წინასაარჩევნოდ მერი შეცვალოს?***

– და ხელს აძლევს „ოცნებას“, რომ ასეთი მერი დატოვოს, რომელიც ხვალ გამოვა და უარესს იზამს?! ნარმანია წააგებინებს „ოცნებას“ თბილისში არჩევნებს. თუ დატოვებენ მას ოქტომბრამდე, ის რაებს იზამს, ხომ წარმომიდგენია! თვითონ ჩამოყალიბდნენ, რა ურჩევნიათ. ამას მე ვერ გადავწყვეტ.

***– არის იმის შესაძლებლობა, რომ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად დაინიშნოს თბილისი მერის არჩევნებიც? მოესწრება?***

– რამდენადაც ვიცი, მოსწრებით მოესწრება. მე ის ვიცი, რომ ეს კაცი უნდა წავიდეს! უკვე სირცხვილია მისი მერობა! ჩვენ საკრებულოში დავიწყეთ კიდეც ხელმოწერების შეგროვება.

***– რამდენად იაქტიურებს საკრებულო ამ საკითხში? შეძლებთ მერის გადაყენებას?***

– არ ვიცი. „ოცნების“ ნება თუ არ იქნა, არ გამოგვივა, იმიტომ, რომ ჩვენ მაქსიმუმ 17-18 ხელმოწერა შევაგროვოთ. ხმების ორი მესამედია საჭირო, რომ დაისვას მისი უნდობლობის საკითხი.

***– აქციები დღემდე გრძელდება, იმავე გარემოს დამცველების. რამდენად მასშტაბური გახდება ეს აქციები?***

– ნარმანია გვეხმარება, რომ უფრო მასშტაბური გახდეს აქციები. მისი განცხადების შემდეგ კიდევ უფრო ბევრი ხალხი მოვიდა, რაც გასული დღეების განმავლობაში დადიოდა, ორი იმდენი. ბევრი არც მალავდა, რომ ამ ვირიშვილო მაიმუნოს გამო იყვნენ მოსულები. შიმშილობა გრძელდება და პროტესტიც გაგრძელდება. ვნახოთ, რა გამოვა.

---

# ნატა ფერაძე: „ვიგინებოდი ყოველთვის და გავაგრძელებ გინებას“



– ყოველთვის ვიგინებოდი და გავაგრძელებ გინებას კიდევ, მაგრამ მე „პარტიზანი მებაღე“ ვარ და ის მერია.

ასეთი კომენტარი გააკეთა „პარტიზანმა მებაღემ“ ნატა ფერაძემ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით, სადაც იგი ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელ ნინო სულხანიშვილს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს.

მისივე თქმით, სოციალურ ქსელში გავრცელებული კადრები იმ დღეს არის გადაღებული, როდესაც ყაზბეგის გამზირი 22-ში ხეების მოჭრა ხდებოდა. ადგილზე ნინო სულხანიშვილიც მივიდა.

– ეს ძველი კადრებია. ვიგინებოდი ყოველთვის და გავაგრძელებ გინებას კიდევ, მაგრამ მე „პარტიზანი მებაღე“ ვარ და ის მერია, განსხვავება ეს არის. ახლა თავისი ჭკუით კომპრომატი დამარტყეს, – დასძინა ნატა ფერაძემ.

---

# დავით ნარმანია: „ჩემი გადადგომის საფუძველი არ არსებობს“



დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ მისი გადადგომის საფუძველი არ არსებობს.

ასე უპასუხა დავით ნარმანიამ ჟურნალისტების შეკითხვას იმის შესახებ, რომ საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საკრებულოს წევრების ნაწილი დედაქალაქის მერის გადადგომას ითხოვს.

**დავით ნარმანია:**

– 24 აგვისტოს ჩვენ საინტერესო სამუშაო შეხვედრა გვქონდა, თუმცა ცალკეული ადამიანების მხრიდან ადგილი ჰქონდა დესტრუქციულ მოქმედებებს და, შესაბამისად, გამოიწვია ის რეაქცია, თუმცა მე მაინც ვთვლი, რომ არ უნდა გამომეთქვა ასეთი ტიპის ფრაზები და, შესაბამისად, გამომეჩინა ის თმენის ვალდებულება, რომელიც საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს.

ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო და ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას. საკრებულოში მივალ და გავაკეთებ ძალიან საინტერესო განცხადებებს, ვუპასუხებ ყველა დასმულ კითხვას.

დედაქალაქის მერი თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ახალი სასტუმროს „რუსთაველი ბუტიკ ჰოტელის“ გახსნის ცერემონიალზე მივიდა, სადაც მას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სტვენითა და ხმაურით შეხვდნენ და გადადგომისკენ მოუწოდეს.

---

# ტერაქტის საქმეზე ბრალდებული ბექა ბექაური ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს

ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ერთ-ერთი ბრალდებული, ბექა ბექაური, ციხის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბექაურის ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ განუცხადა.




ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებული ნომერ მე-19 მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული.

მისივე თქმით, ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებული ბექა ბექაური ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

რაც შეეხება მისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახეს – პატიმრობას, ადვოკატის ინფორმაციით, მან თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

**ინტერპრესნიუსი**

---

# საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაკულჩიკმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ“.

შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას ტერორიზმის, კორუფციისა და სხვა სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის დელეგაცია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში არსებული ვითარება მიმოიხილეს, ისაუბრეს საქართველოსა და ბელარუსს შორის უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაში უსაფრთხოების სამსახურების ურთიერთთანამშრომლობის წვლილს.


**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ზვიად კუპრავა: „არ მინდა, ჯაჭვლიანს კიდევ ხელფასი ვუხადო“

შორენა მარსაგიშვილი

## „ხელისუფლებამ ხალხის დაშინება გადაწყვიტა“



რატომ აშინებს ხელისუფლება მოსახლეობას, რატომ რცხვენიათ კოკში ნარმანიას გამო, რატომ უნდა შეინახოს ხალხმა ჯაჭვლიანი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– დღეს ყველა საგურამოს ე.წ. ტერაქტზე საუბრობს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მადლობა უნდა გადავუხადოთ იმისთვის, თუ მათ მართლაც აღკვეთეს ეს ქმედება. ოღონდ სუსმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ფაქტს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიანიჭოს ტერაქტის კვალიფიკაცია.

ტერორისტული აქტი, როგორც წესი, ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად მათ დაშინებას ისახავს. ამ შემთხვევაში თავად სუსი ამბობს, რომ აქტი მიმართული იყო გაზსადენის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ტერაქტის კვალიფიკაცია, რადგანაც ეს არის წმინდა წყლის დივერსია. საერთოდ, ტერორისტულ აქტებზე საუბარი ასე არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც არ უნდა მიეცათ ასეთი კვალიფიკაცია. გამოძიების მომენტში თუ რამე გამოიკვეთებოდა, სასამართლოზე შეიძლებოდა მუხლის გადაკვალიფიცირება.

***– თქვენი აზრით, რატომ მისცა სუსმა ამ ფაქტს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია?***

– ეს არ ვიცი. შესაძლოა, ეს მოსახლეობის დაშინებას ისახავდეს მიზნად. ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ ქვეყანა, სადაც ტერორისტული აქტები ხდება, სტაბილურად ვერ ჩაითვლება. საქართველოს კი არაფერში სჭირდება ასეთი იმიჯის შექმნა, მით უმეტეს, რომ ახლა ტურისტული სეზონია და წინ არჩევნები გვაქვს. შესაძლოა, ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სურდა რაღაც ფონის შექმნა. ალბათ, ამიტომაც ჩააცვეს ერთ-ერთ პიროვნებას უკრაინის გერბიანი მაისური. ახლა ამ მაისურით უნდათ იმის დამტკიცება, რომ დივერსია უკრაინაში დაიგეგმა.

***– თქვენ გამორიცხავთ, რომ უკრაინაში მომხდარიყო რაიმე დივერსიის დაგეგმვა?***

– არ გამოვრიცხავ. ოღონდ ხელისუფლებას სხვა კუთხით უნდა უკრაინული კვალის წარმოჩენა. უნდათ, ეს ყოფილ ხელისუფლებას დააბრალონ. ეს დივერსია მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებში შედის. მათ 2006 წელს ერთხელ უკვე ააფეთქეს მაგისტრალური გაზსადენი.

რუსეთის სპეცსამსახურებს უკრაინაზე გარკვეული წვდომა აქვთ და შესაძლოა იქ მონახეს ვინმე, რომელიც დივერსიის მოწყობას დათანხმდებოდა. ამაში ყოფილი ხელისუფლება არაფერ შუაში არ არის. მაისურის მიხედვით კი დივერსიის წარმომავლობაზე საუბარი არ შეიძლება.

საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ატარებს ამა თუ იმ საფეხბურთო კლუბის მაისურს. იმათ თუ რაიმე დანაშაული ჩაიდინეს, ეს იმას ან ნიშნავს, რომ დანაშაულის უკან ბარსელონა ან რეალია. პირადად მე არგენტინის ქომაგი ვარ და ხშირად მაცვია ამ ქვეყნის ნაკრების მაისური. რამე რომ დავაშავო, ამათი ლოგიკით, დანაშაული არგენტინაში იქნება დაგეგმილი.

***– ეს დივერსია, რომელიც ამ დღეების მთავარი თემა იყო, გადაფარა დავით ნარმანიას განცხადებამ. მან ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე გარემოს დამცველს ვირიშვილი მაიმუნი უწოდა. ამაზე რას იტყვით?***

– როცა ეს ამბავი მოხდა, მე სამეგრელოში მივდიოდი მანქანით. გზად შევიარე ნარმანიას მშობლიურ სოფელ კოკში. იქ რამდენიმე ოჯახს ვიცნობ. როგორც მათ მითხრეს, კოკელებს უკვე რცხვენიათ, რომ ნარმანია მათი მეზობელია. ეს ბიჭი მართლაც ძალიან სამარცხვინოდ იქცევა. მისგან არაერთი უცნაური გადაწყვეტილება გვინახავს, მაგრამ ის, რაც 2 დღის წინ იკადრა, უკვე ნამეტანია. რა მიმართვის ფორმაა ვირიშვილი მაიმუნი? ამით ნარმანიამ იმ ახალგაზრდას კი არა, პირველ რიგში, საკუთარ თავს მიაყენა შეურაცხყოფა. იქიდან გამომდინარე, რომ ნარმანია თბილისის მერია, მან თავისი უზრდელობით თბილისსაც მიაყენა შეურაცხყოფა.

ყველა ადამიანი შეიძლება გამოვიდეს წყობილებიდან, მაგრამ ნარმანია არის საჯარო მოხელე და მას მეტი თმენის ვალდებულება აქვს. მოთმენა თუ არ შეუძლია, მაშინ წავიდეს თანამდებობიდან.

მერის მხრიდან ეს ნამდვილად სამარცხვინო საქციელია. მე არ მახსენდება, თბილისის რომელიმე მერს ასეთი რამე ეკადროს.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები იხსენებენ, რომ წლების წინ ზურაბ ჭიაბერაშვილმა, როდესაც ის თბილისის მერი იყო, აქციის მონაწილეებს შეაგინა.***

– ძალიან ცუდია, თუ შეაგინა. ეს ნარმანიას ქმედებას არ ამართლებს. თანაც ჭიაბერაშვილს ეს საჯარო შეხვედრაზე არ გაუკეთებია. ისიც ცუდად მოიქცა, მაგრამ ნარმანია უკვე მეტისმეტია.

***– საჯარო შეხვედრა ახსენეთ და დეპუტატმა კაკო ბობოხიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აგინა „ქართულ ოცნებას“. მეოცნებეები ამ არგუმენტსაც იყენებენ ნარმანიას გასამართლებლად.***

– ეს ძალიან ცუდი საქციელი იყო. ამაზე ნაციონალურმა მოძრაობამ ბოდიში მოიხადა. ბოდიში მოიხადა ბობოხიძემაც. ის ამ გინებისთვის „ქართულმა ოცნებამ“ გალახა კიდევაც. ნარმანიამაც უნდა მოიხადოს ბოდიში. მის წინააღმდეგ მთელი თბილისი უნდა გამოვიდეს. ის ძალიან სამარცხვინოდ იქცევა.

***– ბობოხიძის გინების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო სოსო ჯაჭვლიანი, რომელსაც ახალი სამსახური შეუქმნეს. როგორც პრემიერმა განაცხადა, ის კურორტ თეთნულდის მიმართულებას უხელმძღვანელებს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– გიორგი კვირიკაშვილი ძალიან სერიოზულ შეცდომას უშვებს. ქვეყანაში არსებობს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. ასეთ დროს არ მესმის, რა საჭიროა მთიანი კურორტების განვითარების სააგენტო და იქ კიდევ კონკრეტულად თეთნულდის მიმართულების გამოყოფა. ყველაზე მიუღებელი ისაა, რომ ეს მიმართულება დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანს ჩააბარეს.

რატომ შეარჩიეს ჯაჭვლიანი, ტურიზმში ერკვევა კარგად თუ კარგი მენეჯერია? 4 წლის განმავლობაში ჩვენ მას პარლამენტში ვუყურებდით და მისგან მხოლოდ გინება, ჩხუბი და იბიარდი გვახსოვს. ხო, კიდევ იყო ნუ ბლატაობ, შე ჩმორო... როგორც დეპუტატს, მას ჰქონდა ნულოვანი მარგი ქმედების კოეფიციენტი. გაუგებარია, რატომ უნდა შეუქმნა ასეთ ადამიანს რაიმე ახალი სამსახური.

***– თქვენი აზრით, რატომ შეუქმნეს? იყო საუბრები იმაზე, რომ მას საქმეები კარგად არ ჰქონდა. რაღაც პერიოდში ის „ქართული ოცნების“ დატოვებასაც აპირებდა.***

– „ქართული ოცნება“ ახლა ცუდ დღეშია და, ალბათ, აღარ უნდა, თავისივე გუნდის წევრებმა ლანძღონ. ჯაჭვლიანი არცერთ რაიონში არ დაასახელეს მაჟორიტარად. მას არც საპარლამენტო სიაში სვამენ. მის გასაჩერებლად გადაწყვიტეს, ახალი სამსახური შექმნან, რომელსაც ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფა დასჭირდება. პირადად მე არ მინდა, რომ ჯაჭვლიანს ხელფასი ვუხადო. ისიც საკმარისია, 4 წლის განმავლობაში რომ ვუხდიდით ამ კაცს ფულს.

***– ჯაჭვლიანის გარდა, სიის მიღმა კიდევ ბევრი დეპუტატი რჩება და მათაც ასევე დაასაქმებენ?***

– მათაც ასევე შეუქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. აშკარაა, რომ კვირიკაშვილმა საარჩევნო სიის მიღმა დარჩენილების დასაქმება გადაწყვიტა. მათი შენახვა ბიუჯეტს დამატებით ხარჯად უნდა დააწვეს. იმედი მაქვს, რომ 8 ოქტომბერს ყველაფერი შეიცვლება.

# მიხეილ ჯანელიძე: „რუსეთის მიერ დაწყებული სამხედრო წვრთნები საფრთხის შემცველია“



– რუსეთის მიერ დაწყებულ სამხედრო წვრთნებს აღვიქვამთ, როგორც საფრთხის შემცველსა და დესტაბილიზაციის ფაქტორს რეგიონში.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ განუცხადა.

მისი თქმით, საქართველო აკვირდება ყველა მიმდინარე წვრთნას, რომელიც რეგიონში რუსეთის მიერ ხორციელდება.

**მიხეილ ჯანელიძე:**

– დღეს ჩვენ ვნახეთ დაუგეგმავი წვრთნებიც. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას აღვიქვამთ, როგორც საფრთხის შემცველს და დესტაბილიზაციის ფაქტორს რეგიონში და რა თქმა უნდა ვმუშაობთ ჩვენი პარტნიორების ინფორმირებისთვის მათთან ერთად, რათა ყველა შესაძლო სცენარი დამუშავდეს და საერთაშორისო საზოგადოება საფრთხის შესახებ ინფორმირებული იყოს.

რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციულმა ერთეულმა, სამხრეთის სამხედრო ოლქმა მასშტაბური სამხედრო სწავლება დაიწყო. სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის 11.000-ზე მეტი სამხედრო 18 პოლიგონზე დაწყებულ სწავლებებში მონაწილეობს.

სამხედრო მანევრები მიმდინარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში, ასევე სომხეთში და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ რუსულ ბაზებზე.

**ინტერპრესნიუსი**

# ოკუპირებული ცხინვალი ადმინისტრაციულ საზღვარს კეტავს



ოკუპირებული ცხინვალი ადმინისტრაციულ საზღვარს კეტავს.

როგორც ე.წ.სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი იტყობინება, ე.წ. საზღვრის გადაკვეთა 20:00-დან აიკრძალება.

მიზეზად სახელდება უსაფრთხოების ზომების გაძლიერება, რომელიც „რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღის აღიარებასთან“ დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებს უკავშირდება.

ადმინისტრაციული საზღვარი 27 აგვისტოდან, დილის 7:00-დან გაიხსნება.

**ინტერპრესნიუსი**

# შეიარაღებულ ძალებში გაწვევა გაუქმებულია?

თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის შეჩერების შესახებ ყოფილ მინისტრ თინა ხიდაშელის მიერ გამოცემული ბრძანება არ შეცვლილა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში თინა ხიდაშელის საარჩევნო შტაბის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე კომენტირებისას განუცხადეს, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება ძალაშია.

– შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-სავალდებულო გაწვევის შეჩერების შესახებ წინამორბედი მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება არ შეცვლილა. შესაბამისად, ის, რაც გამოსცა თინა ხიდაშელმა, არის ძალაში, – აღნიშნეს თავდაცვის უწყებაში.

უსუფაშვილი-რესპუბლიკელების ზესტაფონის მაჟორიტარობის კანდიდატის თინა ხიდაშელის საარჩევნო შტაბი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხზე განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას უცხადებენ, რომ თავდაცვის მინისტრობის პერიოდში თინა ხიდაშელს არ მიუღია სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება და შესაბამისად, გაწვევა ჩვეულებრივი წესით გრძელდება, რაც უკანონოა.

ხიდაშელის საარჩევნო შტაბის განმარტებით, თავდაცვის მინისტრობის დროს გამოცემული ბრძანების შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებში გაწვევა გაუქმებულია და ბრძანება ამ დრომდე ძალაში რჩება.

– ბოლო ერთი კვირის მანძილზე, პრაქტიკულად ყველა სოფელში, შეხვედრების დროს მოსახლეობა გვაწვდის ერთსა და იმავე ინფორმაციას სავალდებულო გაწვევის შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოსახლეობას უცხადებენ, რომ თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, თინა ხიდაშელს არ მიუღია გადაწყვეტილება სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ და შესაბამისად, გაწვევა გრძელდება ჩვეულებრივი წესით.

სამწუხაროა, როდესაც ხელისუფლება, რომელმაც ვერ დაძლია საბჭოური მანკიერი ტრადიციები მსგავსი მეთოდებით მოქმედებს და ებრძვის ოპონენტებს.

ყველა დაინტერესებული პირის საყურადღებოდ, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ თინა ხიდაშელის მიერ, თავდაცვის მინისტრობის დროს გამოცემული ბრძანების შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებში გაწვევა გაუქმებულია.

ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაშია და შესაბამისად, ყოველგვარი ქმედება შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდების გაწვევის თაობაზე უკანონოა.

ამასობაში, სამწუხაროდ, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ინიციატივას არ შემოუერთდნენ შინაგან საქმეთა და სხვა უწყებები და, შესაბამისად, გაწვევა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, შეეხება ყველა სხვა უწყებას, გარდა თავდაცვის სამინისტროსი. გავთავისუფლდეთ მონური შრომისგან, – ნათქვამია შტაბის განცხადებაში.

# არჩილ გამზარდია: „ოცნებას“ ივანიშვილი აღარ სჭირდება“

გულიკო ბალაძე

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მეგობრები ვერ შეიძინა. როგორც ჩანს, პოლიტიკურ სივრცეში, რეალურად, ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრეები არ აღმოჩნდნენ.

– ბიძინა ივანიშვილი პირდაპირი მმართველიც იყო. ის გახლდათ წონადი ადამიანი, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში და მას უნდა მოეხერხებინა თავის გარშემო თანამოაზრეების ყოლა, – აცხადებს **არჩილ გამზარდია** „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***– ევროპულ ქვეყნებში პოლიტიკური მეგობრობა რა დონეზეა?***

– ევროპულ ქვეყნებს, აშშ-ს სრულიად სხვა დონის პარტნიორობისა და ოპონირების კულტურა აქვთ. ჩვენ მსგავსი რამ არ გვაქვს.

***– უარყოფითად აფასებთ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა არსებულ პოლიტიკურ სპექტრში მეგობრები ვერ შეიძინა?***

– ცხადია, სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მეგობრები ვერ შეიძინა.

***– ისინი მისი თანამოაზრეები ვერც იქნებოდნენ, ვინაიდან ნებისმიერს სულ სხვა პოლიტიკური წარსული აქვს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს.***

– ბიძინა ივანიშვილი პირდაპირი მმართველიც იყო. ის გახლდათ წონადი ადამიანი, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში და მას უნდა მოეხერხებინა თავის გარშემო თანამოაზრეების ყოლა.

***– თანამოაზრეების?***

– დიახ, თანამოაზრეების, რომლებიც სანდო იქნებოდნენ და ივანიშვილი არ გახდებოდა თავისი გარემოსთვის პირადი მიზნებისთვის გამოყენების სივრცე.

ივანიშვილის ფაქტორს იქით იყენებდნენ მის გარშემო მყოფი ადამიანები, პოლიტიკური ჯგუფები თუ სუბიექტები.

***– როგორ?***

– ივანიშვილი კი არ იყენებს ამ ადამიანებს, ივანიშვილს იყენებდნენ ეს ადამიანები.

***– არსებულ პოლიტიკურ სპექტრში მოაზრებულ ადამიანებს სხვაგვარი მოქმედება შეეძლოთ?***

– სწორედ ამაშია ივანიშვილის ტრაგიკულობა. ის მარტოხელა იყო და მარტოხელა დარჩა. მას იყენებდნენ, როგორც რესურსებს, ავტორიტეტს.

***– ივანიშვილი ნაწყენია, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში მეგობრები რომ ვერ შეიძინა?***

– არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ის უნდა აცნობიერებდეს ამას, ან, უბრალოდ, მისი გარემოცვა იმდენად კარგად ახერხებს მასთან თავის მოჩვენებას, რომ ივანიშვილი არც ფიქრობს, რომ მარტოხელაა და მეგობრები არ ჰყავს.

***– უსუფაშვილი ამბობს, რომ ივანიშვილი მთლიანად შორდება „ქართულ ოცნებას“ და მომავალში მთლიანად დისტანცირებული იქნება. მართალია, რომ ივანიშვილი ჩამოშორდა და „ოცნება“ ობლად დარჩა?***

– „ოცნება“ ობლად არ დარჩა. „ოცნებას“ საკმაოდ გავლენიანი სუბიექტები ჰყავს ქვეყანაში, შეიძლება, რაღაც საკითხში – ბევრად უფრო გავლენიანები, ვიდრე ივანიშვილი იყო ადრე.

***– ვინ?***

– გვარი რომ ვთქვა, ვისზეც ვფიქრობ, მტკიცებულებაც იქნება საჭირო. მე, უბრალოდ, ჩემს აზრს გამოვხატავ. ამიტომაც „ოცნება“ არ არის ობოლი. გამოიყენეს რესურსები, განიმტკიცეს პოზიციები საზოგადოებაში. მათ სარფიანად გამოიყენეს ივანიშვილი, ზოგადად, მყარი საფუძველი შეიქმნეს. შეიძლება, რაღაც მომენტში ივანიშვილი სრულიადაც აღარ სჭირდებათ.



***– ივანიშვილსაც ხომ უნდოდა, „ქართული ოცნება“ შემდგარიყო მისგან დამოუკიდებელ სუბიექტად ისე, რომ დამოუკიდებლად შესძლებოდა ფუნქციონირება?***

– რამდენადაც ამ ადამიანს ვიცნობ და მქონდა საუბრები, ძალიან ბევრი კარგი იდეაც ჰქონდა, ძალიან საინტერესო, ძალიან ბევრი სახელმწიფო მნიშვნელობის მოწადინებაც. ივანიშვილს ერთი-ორი თუ შეაქებს.

***– ვისი მხრიდან ქებაზე ლაპარაკობთ?***

– მისივე გუნდი სრულ ინდიფერენტულობას იჩენს, მაგრამ ივანიშვილს ძალიან ბევრი უნარი აქვს ისეთი, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. ძალიან ბევრ რამეს ძალიან პრაგმატულად და სახელმწიფოებრივად ხედავს, თუმცა, ამის მიუხედავად, ივანიშვილი თითქოს ვერ ერკვევა ადამიანებში.

***– როგორ, ვერ ერკვევა?***

– თითქოს ვერ ხვდება მათ აზრებს. ყველანაირად იხარჯებოდა, რაც შეეძლო, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი ბუნდოვანდებოდა.

***– რატომ?***

– ყველაფერს თვითონ ხომ ვერ გააკეთებდა. ეს ყველაფერი უნდა შეექმნათ ადამიანებს. ის ადამიანები, საბოლოო ჯამში, თავიანთ ნებაზე მოქმედებდნენ და არ ცდილობდნენ, ის განეხორციელებინათ, რაც ივანიშვილის იდეა იყო და სხვა მოძრაობები იქმნებოდა.

***– ივანიშვილისთვის ეს ცნობილი ხდებოდა?***

– არ ვიცი, მაგრამ შემდეგ ივანიშვილი ანებებდა თავს. ასე გრძელდებოდა. ამიტომაც, საბოლოო ჯამში, ივანიშვილი არც ისე ორგანულად აღმოჩნდა ჩართული რაღაცებში.

***– ბიძინა ივანიშვილამდე ყველა ინფორმაცია არ მიდიოდა?***

– არ ვიცი, მაგრამ, შედეგების მიხედვით, ის, ალბათ, ბოლომდე არ ფლობდა სიტუაციას თავისი გარემოს შესახებ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ის შედეგები ვერ მიიღო, რომლებიც უნდოდა.

***– ეს სახელმწიფოზეც აისახა?***

– მიუხედავად ყველაფრისა, ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, ზოგადად, მივიღეთ უფრო უკეთესი შედეგი, სახელმწიფომ მიიღო უფრო უკეთესი ხელისუფლება, ვიდრე გამოცდილება ჰქონდა, უფრო უსაფრთხო და ნაკლებად საშიში, მაგრამ შედარებითია ის, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ მოახერხა ოთხი წლის განმავლობაში.

შედეგი მივიღეთ არა საჭიროების მიხედვით, არამედ – სხვასთან შედარებით.

# ქეთი ციხელაშვილი: „შევძელით შეთანხმება და მოსახლეობას მოსავლის აღების შესაძლებლობა მიეცა“



– ძალიან კარგი პრეცედენტია ის, რომ ჩვენ შევძელით შეთანხმება და სოფელ სობისის მკვიდრს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე საკუთარ ნაკვეთზე მოსავლის აღების შესაძლებლობა მიეცა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთი ციხელაშვილმა განუცხადა.

**ქეთი ციხელაშვილი:**

– ჩვენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით გუშინვე ავამოქმედეთ ცხელი ხაზი. თქვენ იცით, რომ ადგილზე ვიყავი ჩასული, ასევე ვესაუბრე ადგილობრივებს, ვისაც მოსავალი ეკუთვნის.

ჩვენი მოთხოვნა იყო ერთი – ამ ადამიანებს ჰქონოდათ თავისი მოსავლის დარჩენილი ნაწილის აღების შესაძლებლობა. ძალიან კარგია, რომ ჩვენ მივაღწიეთ ამ ჰუმანიტარულ გამოსავალს და ადგილობრივებმა აიღეს თავიანთი მოსავალი, რაც მნიშვნელოვანია მათთვის და მათი ოჯახებისთვის.

მისივე განმარტებით, საქართველოს ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, იმ პოლიტიკური ძალისხმევის პარალელურად, რაც გრძელვადიანი მიზნებისკენაა მიმართული და დეოკუპაციასა და მავთულხლართების დემონტაჟს გულისხმობს, საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ მცხოვრებლებს ყოველდღიური ყოფაც შეუმსუბუქონ.

– ჩვენ გავაგრძელებთ ყველა ძალისხმევის მობილიზებას იმისთვის, რომ როგორც ზემო სობისის მკვიდრს, ისე სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლებს ჰქონდეთ ჰუმანიტარული თვალსაზრისით მაინც წვდომა საკუთარ მიწაზე, სამეურნეო ნაკვეთებსა თუ ბაღებზე.

ჩვენთვის ეს საკითხი ახალი არ არის და ამ თემებზე მუდმივად ვმუშაობთ არსებული მექანიზმების ფარგლებში, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ევროკავშირის მონიტორინგის მისის ცხელი ხაზის მეშვეობით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ სობისში ჩილინდრიშვილების ოჯახს ქერის მოსავლის დასაბინავებლად 5 საათი მიეცა.

სობისში მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც რუსმა სამხედროებმა კომბაინით ჩილინდრიშვილების ქერის აღება დაიწყეს.

მოლაპარაკების პროცესში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი, სხვა უწყებებთან ერთად, 24 აგვისტოს ჩაერთვნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ოცნება“ გურიაში მაჟორიტარებს ანაცვლებს? – რა პრობლემები აქვთ ჭკუასელსა და თალაკვაძეს

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის გაერთიანებულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი თემურ ჭკუასელის კანდიდატურა ჩაანაცვლოს.

ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები ჭკუასელის სასარგებლოდ მუშაობაზე უარს აცხადებენ.



ადგილობრივების ინფორმაციით, სიტუაციის დასარეგულირებლად გურიაში რამდენიმე დღის წინ ვიცეპრემიერ კახი კალაძის ნდობით აღჭურვილი პირი ილა კეჭაყმაძე იმყოფებოდა, თუმცა მან სიტუაციის დარეგულირება ვერ მოახერხა, რისი მთავარი მიზეზიც ჭკუასელის დაბალი რეიტინგია.

ადგილზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კეჭაყმაძეს ჩოხატაური-ლანჩხუთის საარჩევნო შტაბში მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ჭკუასელს რეიტინგებში ცუდი მონაცემები აქვს და ის, შესაძლოა, სამეულშიც ვერ მოხვდეს.

ჭკუასელთან დაკავშირებით ვითარებას ის ართულებს, რომ ის ივანიშვილის ახლო მეგობარია. ამავე ინფორმაციის თანახმად, „ოცნების“ შიდა კვლევებში არასახარბიელო ვითარება აქვს ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატსა და შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, სულ მცირე, ჩოხატაური-ლანჩხუთის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი ჩაანაცვლოს.

**პირველი რადიო**




# ნორვეგია რუსეთის საზღვარზე ფოლადის ღობეს ააშენებს

ნორვეგიის მთავრობამ გადაწყვიტა, რუსეთთან შორეულ არქტიკულ საზღვარზე ფოლადის ღობე ააშენოს.

როგორც ეუროლინე.გე წერს, სწორედ ამ საზღვრის გამოყენებით შარშან რუსეთიდან 5.500 სირიელი ლტოლვილი შევიდა ნორვეგიაში.

ღობე 200 მეტრის სიგრძისა და 3.5 მეტრის სიმაღლის იქნება. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას სამოქალაქო აქტივისტები და ოპოზიცია აკრიტიკებენ.

ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი ორგანიზაციების ცნობით, წელს ეს საზღვარი არცერთ ლტოლვილს არ გადაუკვეთია და, შესაბამისად, გაუგებარია ოსლოს ეს გადაწყვეტილება.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახეთსა და თუშეთში მეცხვარეები მატყლს ვერ ყიდიან

## დაბალი ფასის გამო

კახეთსა და თუშეთში ადგილობრივები მატყლს გამოუსადეგარს უწოდებენ და ყრიან.

მწყემსების თქმით, ამის მიზეზი მატყლის დაბალი ფასია, რის გამოც ცხვრის გაპარსვა და მუშახელისთვის ცალკე ფულის გადახდა არ ულირთ. თუმცა, მათივე თქმით, იძულებული არიან, ცხვარი გაპარსონ, რადგან პირუტყვი გაუპარსავი ვერ გაძლებს.

თუშური ჯიშის ცხვრის მატყლი, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, წლების წინ საქართველოში ყველაზე ძვირი ღირდა, ახლა კი 1 კგ მატყლის გასაყიდი ფასი 50 თეთრია.

თუში მეცხვარე ტარიელ გაფრინდაული წლებია მეცხვარეობით ირჩენს თავს. მისი თქმით, ვიდრე თუშეთი მოსახლეობისგან დაიცლებოდა, მატყლის მიმღები და დასამუშავებელი პუნქტები თუშეთშივე იყო და მეცხვარე, ცხვრისა და ყველის გარდა, შემოსავალს მატყლის რეალიზაციიდანაც იღებდა.

– თუშური მატყლი უხეშია, ევროპაში კი უხეში მატყლი არავის უნდა. ცხვარს იმიტომ ვპარსავთ, რომ აწუხებს, თორემ საერთოდ არ გავპარსავდით. მატყლის უმეტეს ნაწილს ვყრით.



ხარჯის მეტი არაფერი მოაქვს, – ამბობს მეცხვარე.

მეცხვარეები ითხოვენ, რომ ხელისუფლება მათ მატყლის გასაღების ბაზრის მოძიებაში დაეხმაროს. მათივე თქმით, ოფიციალური პირები მუდმივად ჰპირდებიან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ამა თუ იმ პროგრამას ახორციელებენ, მაგრამ ეს საქმეში არ აისახება.

ამ საქმეში ფულის ჩადება, არცერთ ბიზნესმენს და არც სახელმწიფოს უნდა, თუმცა ყველა ჰპირდება, რომ ამ პრობლემის მოგვარებაზე იზრუნებს, რადგან სავსებით შესაძლებელია ბიუჯეტის დაფინანსებით საწარმოს აშენება, სადაც ქართული ცხვრის მატყლს ჩააბარებენ.

მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილის განცხადებით, მატყლის რეალიცაზიის პრობლემების მიზეზი ფასი და სახელმწიფოს არასწორი მიდგომაა.

– პრობლემის მიზეზი, ფასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასწორი, ხშირ შემთხვევაში, პროტექციული მიდგომებია. მატყლის რეალიზაციის პრობლემა მის ფასსა და მოთხოვნის ნაკლებობაზეა დამოკიდებული, ხოლო ცხვრის რეალიზაციის პრობლემა სამინისტროს ხელმძღვანელობის არასწორი ქმედებებია, – ამბობს ბექა გონაშვილი.

* * *

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფო არ ყიდულობს მატყლს და უკვე კარგა ხანია, სახელმწიფო ბიზნესში აღარ ერევა.

– ჩვენ, უბრალოდ, ვქმნით შესაძლებლობას, რომ ადამიანებმა თავიანთი პროდუქტი ბაზარზე გაიტანონ. ორი სუბიექტი თუ ვერ თანხმდება ფასსა და სხვა საკითხებზე, ეს ჩვენ აღარ გვეხება. ჩვენ რომელიმე მხარის სასარგებლო პოზიციას ვერ დავიჭერთ. არ გვაქვს ამის უფლება, – განუცხადა ბიზნესპრესნიუსს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

რაც შეეხება მეცხვარეთა განცხადებას, რომ სახელმწიფოს მათ ადგილობრივი მიმღები პუნქტების შექმნას ჰპირდება, ამაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნეს, რომ სახელმწიფო და მით უფრო სამინისტრო ვერ შექმნის პუნქტებს და ეს ბიზნესის საქმეა.

– ჩვენ შეიძლება მხოლოდ იაფი ფულადი რესურსი გამოვყოთ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბიზნესმენი ამ ინიციატივას წამოიწყებს, – აცხადებენ სამინისტროში.

**ლალი პაპასკირი, ბიპიენი**

# მევენახეები სუბსიდიას წელსაც მიიღებენ

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ თელავში „რთველი 2016“-ის საკოორდინაციო შტაბი გახსნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტოდან აცნობეს, ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ მდგომარეობაზე და სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიის გაცემის მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია როგორც მევენახეების, ასევე მეწარმეების ინტერესის გათვალისწინება.

**ოთარ დანელია:**

– მიმდინარე წელს კახეთის რეგიონში, შარშანდელის მსგავსად, დაახლოებით 148-150 ათასი ტონა ყურძნის სამრეწველო გადამუშავებას ველოდებით.

რთვლის ჩასატარებლად ჩვენ განსაკუთრებულ სირთულეებს არ ველოდებით, ხელისუფლებას აქვს სრული მზადყოფნა, რომ წლევანდელი რთველი ორგანიზებულად და შეუფერხებლად წარიმართოს.

ჩვენი მიზანია, რომ არც ერთ მევენახეს არ დარჩეს ჩაუბარებელი ყურძენი. წელს, ყურძენს 100-მდე ღვინის კომპანია ჩაიბარებს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, რთვლის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულ ღვინის კომპანიებში ჩაბარებულ ყურძენზე, ფიზიკური პირები სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ შემდეგი ოდენობით: კახეთის რეგიონში 1 კგ. რქაწითელისთვის – 0,45 ლარს, 1 კგ. კახური მწვანისათვის – 0,45 ლარს, 1 კგ. საფერავისათვის – 0,20 ლარს; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში მუჯურეთული/ალექსანდროულისთვის – 2 ლარს მიიღებენ.

მინისტრის განცხადებით, წარმოების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიებისათვის გაგრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სესხების გაცემა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით.

ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ფერმერებისაგან ყურძნის შეძენის მიზნით, შეღავათიანი აგროკრედიტის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10 მილიონი ლარით, არაუმეტეს 15 თვის ვადით.



ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც ყურძენს შეისყიდიან საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით, გაიცემა შეღავათიანი აგროკრედიტი არაუმეტეს 15 მილიონი ლარის ოდენობით. სესხის მაქსიმალური ვადა 3 წლის ვადით განისაზღვრა.

„რთველი 2016“-ის საკოორდინაციო შტაბს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი უხელმძღვანელებს.

როგორც ღონისძიებაზე შტაბის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მიმდინარე წელს, გასული წლის მსგავსად, სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, გლეხი ჩაბარებული ყურძნის საფასურს ყურძნის ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებსა და სერვის ცენტრებში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს. ყურძენს, რომლის რეალიზაციასაც მევენახე ვერ შეძლებს, ჩაიბარებს სახელმწიფოს მიერ იჯარით აღებული ღვინის ქარხნები.

– მევენახე თავად გადაწყვეტს, რომელ ღვინის ქარხანაში ჩააბაროს ყურძენი და თავად აწარმოებს მოლაპარაკებებს ყურძნის შემსყიდველთან ჩასაბარებელი ყურძნის ფასზე, გადახდის პირობებსა და ვადებზე.

სახელმწიფო არ ერევა ორ კერძო სუბიექტს შორის ურთიერთობებში, სახელმწიფო არ ერევა არც ფასების რეგულაციაში – ყურძნის ღირებულებას არეგულირებს ბაზარი, – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

შტაბის ხელმძღვანელის განცხადებით, გასული წლის მსგავსად, „რთველი 2016“-ის საკოორდინაციო შტაბი თელავში, სასტუმროში „ალაზნის ველი“ განთავსდება და სახელმწიფო უწყებებს, მეწარმეებსა და მევენახეებს შორის აქტიური კომუნიკაციის მიზნით, 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს.

**ინტერპრესნიუსი**

# „საპარტნიორო ფონდის“ მუშაობის გამჭვირვალობა საეჭვოა“

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასებით, „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა მეტ გამჭვირვალობას საჭიროებს.

როგორც გუშინ, 25 აგვისტოს, გამართულ პრესკონფერენციაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა ლევან ნატროშვილმა და ნუცა თოხაძემ განაცხადეს, არასამთავრობო ორგანიზაციამ ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები კიდევ ერთხელ გამოიკვლია და დაასკვნა, რომ „საპარტნიორო ფონდის“ მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების უმრავლესობა აკმაყოფილებს მიზანშეწონილობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმს, თუმცა არის სამი პროექტი (ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო Hyatt Regency, სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა და კომპანია სს „ჰუმანითი ჯორჯია''), რომლებიც გარკვეულ კითხვებს აჩენს.

„ამ პროექტებში „საპარტნიორო ფონდთან“ ერთად თანაინვესტორი კომპანიების: Merrydow Development Holdings LTD (მისი დირექტორი/ოფიცერი კომპანია ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული), შპს „როიალ დეველოფმენთის“ (საეჭვოა მათი პროექტში მონაწილეობა) და სს „ჰუმანითი ჯორჯია“ (კვალს ოფშორამდე მივყავართ) საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაცია არასაკმარისი ან ბუნდოვანია.

გარდა ამისა, სს „ჰუმანითი ჯორჯიასა“ და შპს „როიალ დეველოფმენთის“ შემთხვევაში იკვეთება კავშირები საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესთან და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გავრცელებული ინფორმაციის ჭრილში – ივანიშვილის ახლო ნათესავის უჩა მამაცაშვილის „საპარტნიორო ფონდში“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციაზე მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირად საუბრებში ფონდშიც გვიდასტურებენ, რომ ბატონი მამაცაშვილი ფონდში 2012-2016 წლებში მუშაობდა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია ფონდის ვებგვერდზე არ მოიპოვება.

ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პროექტებში, სადაც „საპარტნიორო ფონდი“ მინორიტარია შემსრულებელი კომპანიების არჩევა ფასთა გამოკითხვით, მხოლოდ ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება.

ეს სტანდარტები, ვფიქრობთ, საკმარისი არ არის პროექტების სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ეს ყველაფერი ზოგიერთ შემთხვევაში კითხვებს აჩენს სახელმწიფო „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სახელმწიფო თანხების გამჭვირვალე და ეფექტიან ხარჯვასთან მიმართებით, – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ: აუცილებელია, „საპარტნიორო ფონდის“ ვებგვერდზე მოცემული იყოს დეტალური და გადამოწმებული ინფორმაცია ყველა პროექტის შესახებ;

„საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით დამატებითი რეგულაციები უნდა იქნას შემოღებული. კერძოდ, უმჯობესი იქნება, თუ კანონის დონეზე აიკრძალება „საპარტნიორო ფონდის“ სახსრების ისეთ იურიდიულ პირებზე გაცემა, რომლებიც რეგისტრირებული არიან ოფშორულ ზონაში, ასევე, იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი;

ყველა პროექტში, მიუხედავად იმისა ფონდის მონაწილეობა მაჟორიტარულია თუ მინორიტარული, აუცილებელია, პროექტის მიზნებისთვის ნებისმიერი სამუშაოს შემსრულებელი პირის გამოვლენა სრულყოფილი ტენდერის გზით ხდებოდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# წელს სტუდენტი 27.782 აბიტურიენტი გახდა

წელს სტუდენტი 27.82 აბიტურიენტი გახდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სახელმწიფო გრანტი მიიღო 6.00-მა აბიტურიენტმა, ხოლო 4.00-მდე იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა, სადაც სწავლას სახელმწიფო სრულად აფინანსებს.



მათივე ცნობით, ჩარიცხულია გამოცდებზე გამოცხადებული აბიტურიენტების 74%-ზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გრანტი 6.500-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, მაია მიმინოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქედან 100%-იანი დაფინანსება მიიღო 1.012-მა სტუდენტმა.

70%-იანი დაფინანსება მიიღო 1.456-მა სტუდენტმა, ხოლო 50%-იანი დაფინანსება მიიღო 4.078-მა სტუდენტმა. ამას ემატება 3.800-ზე მეტი ის სტუდენტი, რომელმაც ჩააბარა სპეციალობაზე, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს.

მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჩარიცხვების შესახებ მონაცემები თითქმის არ შეცვლილა. თუკი შარშან 28.000 სტუდენტი ჩაირიცხა, წელს ეს მაჩვენებელი 27.782-ია.

– 500-მდეა იმ აბიტურიენტების რაოდენობა, რომელმაც გადალახა ზღვარი საგნებში, თუმცა მათ მიერ მითითებულ უნივერსიტეტებში ვერ ჩაირიცხნენ, ვინაიდან მათ ერთი ან ორი არჩევანი ჰქონდათ გაკეთებული.

რეგიონების მიხედვით ჩაშლილად ინფორმაცია არ გვაქვს. რაც შეეხება საგნობრივ მაჩვენებელს, უმაღლესი ქულა, მაგალითად, 80 ან 79 ზოგად უნარებში არცერთ აბიტურიენტს არ მიუღია, ხოლო ყველაზე დადებითი მაჩვენებელი და ყველაზე მაღალი ქულები უცხო ენაში, კერძოდ კი ინგლისურ ენაში დაფიქსირდა, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯო ბაიდენი ანკარაში ჩავიდა





ჯო ბაიდენი ანკარაში ჩავიდა.

მისი ვიზიტი სირიაში აშშ-თურქეთის ჯარების ერთობლივი ოპერაციის დაწყებას დაემთხვა, რომელიც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული.

თურქეთ-ამერიკის ჯარებთან ერთად შეტევაში სირიის დემოკრატიული ძალების მომხრე შეიარაღებული ფორმირებებიც მონაწილეობდნენ. მის შემადგენლობაში როგორც არაბები, ასევე ქურთებიც იმყოფებიან. საერთო ძალისხმევით მოხერხდა ქალაქ მიჯიბიდან ექსტრემისტების განდევნა.

ოპერაციის შედეგად მოკლულია ისლამური სახელმწიფოს 50-მდე ბოევიკი. თურქეთის არმიაში მსხვერპლი არ არის.

სირიის დიქტატორმა ასადმა თავის ქვეყანაში თურქეთის არმიის შეჭრა აგრესიად გამოაცხადა.

— ეს ჩვენი სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვაა! — თქვა მან.

ამ ფონზე დაიწყო ბაიდენის ვიზიტი თურქეთში. ანკარაში ჩასული აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი თურქეთის პრემიერ ბინალ ილდირიმს შეხვდა. თურქ ჟურნალისტებს ბაიდენმა განუცხადა:

— თურქეთი ამერიკის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია!

ილდირიმთან მოლაპარაკებებისას თურქულმა მხარემ აშშ-ში მცხოვრები თურქი მქადაგებლის გიულენის გადმოცემის საკითხი კვლავ დასვა. ბაიდენმა მიუგო, რომ აშშ-ს არ გააჩნდა ინფორმაცია თურქეთში პუტჩის მომზადების შესახებ. ბაიდენმა აღნიშნა, რომ თურქეთის მხარემ უნდა წარმოადგინოს საბუთები, რომლებიც გიულენის მიერ პუტჩის ორგანიზატორობის ფაქტს დაადასტურებს.

— ამ შემთხვევაში დეპორტაციას წინ არაფერი დაუდგება! — თქვა მან.

საუბარი სირიაში თურქეთ-აშშ-ის ერთობლივი ოპერაციის დაწყებასაც შეეხო. ბაიდენმა მიჯიბის აღება დადებითად შეაფასა, თუმცა თურქულ მხარეს მოუწოდა, ქალაქის აღების შემდეგ ევფრატის მეორე ნაპირზე გადავიდეს.

თავის მხრივ, ილდირიმმა აღნიშნა, რომ ქურთულმა ფორმირებებმა იქაურობა უნდა დატოვონ.

— ისინი მიმართავენ ტერორს თურქეთის წინააღმდეგ! — თქვა ილდირიმმა.

# იტალიაში მიწისქვეშა ბიძგები განმეორდა



იტალიაში მიწისძვრით შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 250-მდე გაიზარდა. დაღუპულთა შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. კერძოდ, რუმინეთმა უკვე დაადასტურა, რომ სტიქიას ქვეყნის ორი მოქალაქე ემსხვერპლა.

იტალიის ჯანდაცვის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ნანგრევების ქვეშ ათობით ადამიანია დარჩენილი. უწყებაში აღნიშნავენ, რომ დაღუპულთა შორის უამრავი ბავშვია.

ამჟამად სტიქიით დაზარალებულ ქალაქებში 5.000-მდე მაშველი და მოხალისე მუშაობს. სამაშველო ოპერაციაში ასევე მონაწილეობენ სამხედროები, პოლიციის თანამშრომლები და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წევრები.

იტალიაში მიწისქვეშა ბიძგები განმეორდა. მსხვერპლი და ნგრევა ამჯერად არ არის.

6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა იტალიაში ოთხშაბათს, ადგილობრივი დროით 03:36 საათზე მოხდა. ყველაზე მეტად ქალაქი ამატრიჩე დაზარალდა, სადაც შენობების დიდი ნაწილი ნანგრევებად იქცა.

# ფლორიდაში კლინტონი ტრამპს უსწრებს



აშშ-ში საპრეზიდენტო კამპანია გრძელდება. ფლორიდის შტატში ძალთა განლაგება შემდეგია: დონალდ ტრამპს მხარს 34% უჭერს, ჰილარი კლინტონს — 39%.

უკანასკნელ ხანს ტრამპის ლექსიკონიდან რასისტული პროპაგანდა მთლიანად ამოვარდა. პირიქით, მილიარდერი ცდილობს, ზანგების ხმები მოიპოვოს.

რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, მისი პროპაგანდა უფრო მოქნილი და ელასტიკურია. მისის კლინტონმა ფლორიდელ ამომრჩეველს ზიკას ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება შესთავაზა. ქალბატონმა ჰილარიმ გამოთქვა მზადყოფნა, რომ შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომლის სახსრებიც ამ ვირუსთან ბრძოლას მოხმარდება.

# პუტინმა რუსეთის არმიის მოულოდნელი შემოწმება დაიწყო

პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის არმიის მორიგი ანაზდეული შემოწმება დაიწყო. ჯარი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი.

— არმია მზადაა, რუსეთის ინტერესები დაიცვას, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ.

ექსპერტების აზრით, რუსეთი კუნთებს ათამაშებს. ეს ძირითადად ორ ფაქტორთან, სირიასთან და უკრაინასთანაა დაკავშირებული. პუტინს სურს, რომ ამ ორ ქვეყანას მისთვის ხელსაყრელი მშვიდობის სქემა მოახვიოს და აიძულოს დასავლეთი, ამას შეეგუოს.

# პოლონეთი უკრაინას უვიზო რეჟიმს მიანიჭებს



კიევში უკრაინის დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავის ზეიმზე პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა ჩავიდა. ზეიმის შემდეგ ის პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდა.

— პოლონეთის თანახმაა, უვიზო რეჟიმის მიღებაში ხელი შეგვიწყოს. მეტიც, პრეზიდენტი დუდა მხარს დაგვიჭერს, რათა ჩვენმა თანამემამულეებმა პოლონეთში ვიზის გარეშე იმოგზაურონ, — თქვა პოროშენკომ.

უკრაინისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთი ხელს შეუწყობს უკრაინის ევროსტრუქტურებში გაწევრიანებას.

დეკლარაციაში მითითებულია ისიც, რომ ორივე ქვეყნის ისტორიაში ტრაგიკული მომენტები უხვადაა, ამიტომ აუცილებელია მათი დეტალური შესწავლა-ანალიზი და ურთიერთმიტევება.

— წარსულის მძიმე ტვირთისგან უნდა გავთავისუფლდეთ, რათა დღეს რუსული აგრესიის წინააღმდეგ ერთად დავდგეთ, — განაცხადა ანჟეი დუდამ.

# აშშ და ბულგარეთი შავ ზღვაზე პატრულირებას იწყებენ



9 სექტემბრიდან აშშ და ბულგარეთი შავ ზღვაზე ერთობლივ პატრულირებას იწყებენ.

მიზანი რუსეთის აგრესიის განეიტრალებაა.

— აუცილებელია მოქმედება, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა კარტერმა.

# თავდასხმა მოსკოვის ბანკზე

მოსკოვის ერთ-ერთ ბანკში შეიარაღებული მამაკაცი შევარდა. მან აიყვანა მძევლები და პირადად პუტინთან შეხვედრა მოითხოვა.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, აქაურობას ავაფეთქებ და თავსაც ავიფეთქებ, — იმუქრებოდა იგი.

შემთხვევის ადგილას სპეცრაზმი მივიდა. მოლაპარაკებების შემდეგ მამაკაცი მათ ჩაბარდა.

ის არის არამ პეტროსიანი. მან დაკითხვაზე განაცხადა, რომ მისდევდა ბიზნესს, მაგრამ გაკოტრდა. თავისი მდგომარეობის გამოსწორებაც ამ მეთოდით სურდა.

# ქაბული: თავდასხმა ამერიკულ უნივერსიტეტზე



ტერორისტების ჯგუფი ქაბულის ამერიკული უნივერსიტეტის შენობაში შეიჭრა. იქ მყოფი რამდენიმე სტუდენტი და ლექტორი დაიღუპა.

ავღანეთის უშიშროების ძალებმა ტერორისტების გაუვნებელყოფა ცადეს. ატეხილი სროლის შედეგად მოკლულია 22 ტერორისტი. უნივერსიტეტის შენობა მოძალადეთაგან მთლიანადაა გათავისუფლებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**





# ზოგჯერ ცხოველური ცხიმი სასარგებლოა



გამუდმებით გვესმის, რომ ცხოველური ცხიმები მავნებელია და ისინი კვების რაციონიდან უნდა ამოვიღოთ. ჩვენს ბებიებს კი სათავსებში ყოველთვის ჰქონდათ გადამდნარი ქონით სავსე ქილები. მას წამლად იყენებდნენ და amitom, ხორცზე უფრო მეტად აფასებდნენ.

❖ ❖ ❖

დიდი ხნის წინ, ბატისა და ღორის ქონს მრავალი დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ. ზოგი კურდღლის, მაჩვისა და მელიის ცხიმსაც კი ინახავდა ამ მიზნით.

კბილის ტკივილის დროს მტკივნეულ ადგილზე, ღრძილსა და ლოყას შორის ღორის ქონის პატარა ნაჭერს იდებდნენ. 20 წუთის შემდეგ თურმე ტკივილი ქრებოდა.

ღორის მუცლის გადამდნარ ქონს ბევრი გადაურჩენია დამწვრობების გართულებებისგან. სხეულის მოყინულ ნაწილებს ბატის ქონით მკურნალობდნენ. მაჩვის ქონს კი საკმაოდ ეფექტიანად იყენებდნენ ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

ქონს მხოლოდ სუფთა სახით როდი იყენებდნენ – სამკურნალო ეფექტის გასაძლიერებლად მას პროპოლისს, ხახვს, სკიპიდარს, სამკურნალო ბალახებს უმატებდნენ და ძლიერმოქმედ მალამოს აკეთებდნენ.

ხალხურ მედიცინაში ყველაზე ხშირად ღორის მუცლის ქონი გამოიყენება. მისგან ეფექტურ მალამოს ამზადებდნენ – უმატებდნენ ფიჭვის წიწვებს, კანიფოლს, ცვილსა და პროპოლისს და ძნელად შეხორცებად ჭრილობაზე იდებდნენ.

ძლიერ ხველას შემდეგნაირად დამზადებული მალამო შველის: თანაბარი რაოდენობით აიღეთ იოდი, თაფლი, ქაფურის ზეთი და ღორის ქონი. ყოველივე ეს წყლის აბაზანაზე მოათავსეთ, ურიეთ და მიიყვანეთ ერთგვაროვან კონსისტენციამდე. ამ მასით (სანამ გაცივდება) დაიზილეთ გულმკერდი და ზურგი. 2-3 დღიანი პროცედურის შემდეგ ხველა დაგიამდებათ.

თუ მშრალი კანის გამო ქუსლებზე ნახეთქები გაგიჩნდათ, მაშინ ძილის წინ ფეხები დაიბანეთ, ღორის ქონი სქლად წაისვით, პოლიეთილენით შეიხვიეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ეს პროცედურა 2 კვირის მანძილზე გაიკეთეთ. მკურნალობის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ ნახეთქები სოკოვანი დაავადებით არ არის განპირობებული.

საუკეთესო საშუალებაა არა მარტო გაცივების, არამედ კანზე პრობლემების დროსაც. სამკურნალო ცხიმებს შორის ის ყველაზე მსუბუქი და „ფაფუკია".

ძლიერი ყინვის დროს, ქუჩაში გამოსვლის წინ, ტანსაცმლით დაუფარავი ნაწილების მოყინვისაგან დასაცავად ბატის ცხიმის თხელი ფენა წაისვით.

აქერცვლისა და ნახეთქების დროს ტუჩები ევკალიპტისა და გვირილის ნაყენით (თითოთითო ჩაის კოვზი ჩაყარეთ 1 ჭიქა მდუღარე წყალში და გააჩერეთ 15 წუთი) დაიბანეთ, შემდეგ ბატის ქონი წაისვით. ასე მოიქეცით დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის დროს პომადა არ იხმაროთ.

# მკურნალი კვერცხი

კვერცხს სამკურნალო თვისებებიც გააჩნია, მაგალითად:



- ანგინის და ცხვირ-ხახის ანთებითი დაავადებების დროს, ჭამეთ ახალი კვერცხის ცილა. ხველების დროს კი რამდენჯერმე მიიღეთ ერთი ჩაის კოვზი კარაქის, ერთი კვერცხის გულისა და ერთი ჩაის კოვზი ფქვილის ან ორი სუფრის კოვზი თაფლის ნაზავი. გოგლიმოგლი კი ბრონქიტის დროს დამარბილებელ საშუალებად გამოიყენება.
- კვერცხის ცილა სწრაფად აქვეითებს კუჭის მჟავიანობას და უფრო ეფექტურია გულძმარვისას, ვიდრე სოდა. თუ მონელების პროცესი შეფერხებულია, ტკივილს სწრაფად მოგიხსნით ოდნავ დამარილებული კვერცხის ცილა.
- ცხელი რძის და კვერცხის კოქტეილი სწრაფად მოგიხსნით თავის ტკივილს და შაკიკის შეტევას.
- ნევრალგიის დროს მოხარშეთ კვერცხი, გაჭერით ორად და იმ ადგილას დაიდეთ ცხლად, სადაც გტკივათ. სანამ კვერცხი გაცივდება, მანამდე ტკივილიც გაგივლით.
- ამოვარდნილობის და მყესების დაჭიმულობის დროს კვერცხის ცილა, ფქვილი და სპირტი თანაბარი რაოდენობით კარგად შეურიეთ ერთმანეთს და ნარევი დაზიანებულ ადგილზე შეიზილეთ, შემდეგ ბინტით მაგრად გადაიხვიეთ.
- ეგზემის დროს, ერთი კვერცხის გული აურიეთ ერთ სუფრის კოვზ თაფლს და წაისვით დაზიანებულ ადგილას. კანი მალევე დაიწყებს გამოჯანმრთელებას.
- თუ მოიწამლეთ, ერთ ჭიქა ცივ, ანადუღარ წყალში გახსენით ერთი კვერცხის ცილა. დაუმატეთ ცოტა შაქარი და დალიეთ ნელ-ნელა. ეს ნარევი კარგია გაღიზიანებული კუჭის დასაამებლად და ნაწლავების ჩასაცხრობად.

# რა თვისებები აქვს მცენარეულ ზეთებს



ზეთები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ვიტამინსა და შეუცვლელ ცხიმმჟავას, დიეტოლოგები გვირჩევენ, ყოველდღე შევიტანოთ მენიუში. თუმცა გვაფრთხილებენ, რომ ზოგიერთი ზეთი გაცხელებისას მთლიანად კარგავს სამკურნალო თვისებებს, ზოგიერთი კი სიცოცხლისთვის საშიში ხდება. ერთი და იმავე ზეთის რამდენჯერმე გაცხელებისას მასში ჩნდება კანცეროგენური ნივთიერებები. ასე რომ, ზეთის შეძენამდე ყურადღებით წაიკითხეთ სპეციალისტების რეკომენდაციები.

**გაგაცნობთ ზოგიერთი ზეთის თვისებას:**

- ქოქოსის ზეთი მდიდარია ლაურინის მჟავათი, რომელიც აძლიერებს მეტაბოლიზმს, შედგება 90%-იანი ნაჯერი ცხიმისგან და ძალიან კალორიულია. ის მაღალ ტემპერატურაზეც კი ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.
- სელის ზეთი მდიდარია (ომეგა-3) ცხიმოვანი მჟავებით (60%), რომელიც იცავს გულ-სისხლძარღვებს, აუმჯობესებს თირკმლების მუშაობას, შველის კუჭის შეკრულობას, გამოიყენება სალათების შესაკაზმად.
- ბრინჯის ზეთი E ვიტამინის წყაროა, შეიცავს სამ ნატურალურ ანტიოქსიდანტს. ტოკოფეროლს, ტოკოტრინოლს და ორიზანოლს, რომლებიც აფერხებენ დაბერების პროცესს. უძლებს 254⁰C ტემპერატურას, ძალიან ცხიმიანია.
- არაქისის ზეთი აქვეითებს სისხლში ცუდი ქოლესტერინის დონეს, მდგრადია თერმოტემპერატურისადმი, გამოიყენება შესაწვავად.
- ზეითუნის ზეთი აუმჯობესებს გულის მუშაობას, ძალიან სასარგებლოა ცივად გამოხდილი, გამოიყენება კერძების მოსამზადებლად და სალათების შესაკაზმად. უძლებს 180⁰C-ს.
- შირბახტის (ქუნჯუთის) ზეთი შეიცავს E ვიტამინს. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა და იმუნური სისტემის მუშაობას. ამატებენ მზა საკვებს, რადგან სწრაფად იწვის. გამოიყენება მარინადებისა და სალათების შესაკაზმად.
- მზესუმზირის ზეთი მდიდარია E ვიტამინით, რომელიც გვიცავს ათეროსკლეროზისგან. E ვიტამინი აუცილებელია ღვიძლის უჯრედების, სისხლძარღვებისა და ნერვული ბოჭკოებისთვის. გამოიყენება შესაწვავად, ჩასაშუშად და სალათების შესაკაზმად.
- თირკმლის სოკოს ზეთის გამოსახდელად თირკმლის სოკოს ასხამენ ზეითუნის ან ყურძნის ზეთს და აჩერებენ გარკვეული დროით.
- კედრის კაკლის ზეთი მდიდარია მჟავებით, ამინომჟავებით, ვიტამინებით, მიკრო და მაკროელემენტებით. შეუცვლელია ტუბერკულოზის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, კუჭის პრობლემების დროს. რეკომენდებულია კერძების შესაზავებლად.
- ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენძს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის, უცვლელია მარინადების, სალათებისა და თევზის შესაკაზმად.
- ყურძნის წიპწის ზეთი მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებით, მთრიმლავი ნივთიერებებით, უძლებს მაღალ ტემპერატურას, აქვს სასიამოვნო გემო და არომატი, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, იყენებენ სალათებისა და მარინადების შესაკაზმად.
- სიმინდის ზეთი მდიდარია F და E ვიტამინებით, აძლიერებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, გამოდევნის ორგანიზმიდან ქოლესტერინს, აფერხებს ორგანიზმის დაბერების პროცესს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას. გამოიყენება სალათების შესაზავებლად, სოუსების მოსამზადებლად.

# კიტრი სიცხის დამწევი საშუალებაა

კიტრში 95% წყალია, 5% – ნახშირწყლები, ცილები, ვიტამინები, ორგანული მჟავები და ნაცარი, აქედან 2-2,5% შაქრები, 0,4-5% კი მინერალური ნივთიერებებია. კიტრი შეიცავს C, B1, B2 ვიტამინებს და A პროვიტამინს, პექტინებს, მარილებს, მაგნიუმს, რკინას, ალუმინს, სილიციუმს და ეთერზეთებს. კიტრი მდიდარია ფოსფორით, კალიუმითა და კალციუმით. მასში აღმოჩენილია ვერცხლის მარილებიც.

კიტრი ცნობილია, როგორც სიცხის დამწევი, ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, დამაწყნარებელი, ტკივილგამაყუჩებელი, შემომგარსველი, შარდმდენი, ნაღველმდენი საშუალება. პექტინები, რომელსაც კიტრი შეიცავს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აფერხებს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ლპობის პროცესებს. აძლიერებს კუჭ-ნაწლავში პერისტალტიკას, არეგულირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. აუმჯობესებს მეხსიერებას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას, ხელს უშლის წონაში მომატებას, კანს უნარჩუნებს ტონუსსა და ელასტიკურობას, კლავს წყურვილს.

ღვიძლისა და თირკმლებით დაავადებულებს ენიშნებათ კიტრით განტვირთვის დღეები. გასტრიტისა და წყლულების გამწვავების დროს რეკომენდებულია თაფლგარეული კიტრის წვენის მიღება: 1 ს/კ დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 30-40 წუთით ადრე. ასევე შეგიძლიათ კიტრს დააყოლოთ თაფლი.

უძველესი დროიდან იყენებენ კიტრს კოსმეტოლოგიაში. ნაოჭების გასასწორებლად სახეზე 10-15 წუთით კიტრის ნაჭრები უნდა დაიდოთ.



კიტრისგან შეიძლება სახის გამწმენდი ლოსიონების დამზადება.

1. გახეხილი კიტრი რამდენიმე ფენა მარლაში გაწურეთ, წვენს დაასხით ორჯერ მეტი სპირტი და შეინახეთ ჰერმეტულად დახურულ მინის ჭურჭელში. გამოყენებისას ლოსიონი წყლით გააზავეთ (1:2).
2. 5 საშუალო ზომის კიტრი გახეხეთ, დაამატეთ 5 ვარდისა და 2 თეთრი შროშანის ყვავილების ფურცლები, დაასხით 1/2 ლ არაყი და 3 კვირა გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ. გამოყენებისას 1/2 ჭიქა ნაყენს დაამატეთ 1/2 ჩ/ჭ ანადუღარი თბილი წყალი, 1 ს/კ გლიცერინი და ლიმონის წვენი. ამ ლოსიონით კანის გაწმენდის შემდეგ სახეზე მკვებავი კრემი წაისვით. სახე დიდხანს შეინარჩუნებს ახალგაზრდობას და, რაც მთავარია, ნაოჭებიც გაქრება.

# წიწვების სასმელი ვიტამინებით მოგამარაგებთ

ეს მარადმწვანე მცენარეები, თავიანთი განუმეორებელი არომატითა და სამკურნალო თვისებებით, სამართლიანად იმკვიდრებენ განსაკუთრებულ ადგილს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ კოსმეტიკურ კომპონენტებს შორისაც.

ნაძვს, ფიჭვს, კვიპაროსს, თავიანთი განსხვავებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, მსგავსი სამკურნალო თვისებები აქვთ. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის კოსმეტოლოგები, პარფიუმერები და მედიკოსები აქტიურად იყენებენ მათ.

წიწვებში ასკორბინის მჟავა ექვსჯერ მეტია, ვიდრე ციტრუსებში და ოცდახუთჯერ მეტი, ვიდრე ხახვში. გარდა იმისა, რომ წიწვები რეკორდული რაოდენობით შეიცავს ცე ვიტამინს, მათში ასევე ბევრია სხვა ვიტამინები, მიკროელემენტები, ჰორმონალური ნივთიერებები, კაროტინი, ფიტონციდები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები, ხოლო წიწვების ნაწური შეიცავს ნივთიერებას, რომელსაც ანტიბაქტერიული და დამცველი ზემოქმედება აქვს. ძველად ნაძვის ნახარშით ბევრ დაავადებას მკურნალობდნენ და ძალას აღიდგენდნენ.

სწორედ ამ მიზეზით არცთუ დიდი ხნის წინ ამ ნივთიერების აქტიურად გამოყენება დაიწყეს იმ პრეპარატებში, რომლებიც ანთებისაგან კანის დასაცავადაა გამიზნული. წიწვების ექსტრაქტის აბაზანას მატონიზებელი ეფექტი აქვს. სპეციალისტებისთვის უდიდესი ღირებულება აქვს წიწვების ეთეროვან ზეთს. დამტკიცებულია, რომ ის სასიკეთოდ მოქმედებს ფსიქიკაზე, ხსნის დაძაბულობას, გაღიზიანებას. დეპრესიის განკურნებაც კი შეუძლია. ალბათ ამით აიხსნება ჩვენი ამაღლებული საახალწლო განწყობილება.

დიდი ხნის განმავლობაში წიწვოვანთა არომატები მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო განკუთვნილი. ახლა ყველა ეს სურნელი შეიძლება ქალის სუნამოებშიც შეგხვდეთ. ჩამოთვლილი ღირებულებების გარდა,



წიწვებს აქვს კიდევ ერთი პლუსი – მწვანე ფერი. მისი სასიკეთო ზემოქმედება ფსიქიკაზე ყველასთვის ცნობილია.

წიწვებისგან სასარგებლო ვიტამინებით მდიდარი სასმელი მზადდება. ადუღებულ წყალში კარგად გარეცხილი ნაძვის წიწვები, შაქარი, ლიმონის კანი ჩაუშვით და 30 წუთი დაბალ ცეცხლზე ხარშეთ. გაწურეთ, დაუმატეთ ლიმონის წვენი, დღეში 50-100 მლ მიიღეთ. სასმელის მოსამზადებლად დაგჭირდებათ: წიწვები – 40 გრ, შაქარი – 8 გრ, წყალი – 215 გრ, ლიმონის წვენი – 3 გრ, ერთი ლიმონის კანი.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მუხის ქერქის ნახარში შემკვრელია

მუხა წიფლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ფოთლოვანი ხეა. იგი ყვავილობას იწყებს 30-40 წლის შემდეგ, ცოცხლობს 400-500 წელი, ზოგიერთი მათგანი 1000-1500 წელიწადი და აღწევენ დიამეტრით 4 მ-მდე. ყვავილობს აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში, ნაყოფი შემოდის სექტემბერ-ოქტომბერში. მუხა საქართველოს ტყეებში ფართოდაა გავრცელებული, როგორც ფართოფოთლოვან, ისე შერეულ ტყეებში, ქმნის მუხნარებს. იგი სითბოსა და სინათლის მოყვარული მცენარეა. პირველ წლებში იზრდება ძალიან ნელა, 10 წლის მუხა სიმაღლით მხოლოდ 1 მ-მდეა.

აგროვებენ მუხის ქერქს აპრილიდან ივნისამდე, როდესაც უჯრედის წვენი ინტენსიურად მოძრაობს. გლუვი ქერქის მოსახსნელად წვრილ ღერებზე დანით აკეთებენ ღრმა წრიულ ნაჭდევს ერთმანეთისგან 30 სმ დაშორებით. შემდეგ მათ აერთებენ ღრმა გრძივი ნაჭდევებით, შემდეგ აცლიან ქერქს ღარაკის ან მილის სახით. ნედლეულს, თხელ ფენად გაშლილს ქაღალდზე ან ქსოვილზე. აშრობენ ფარდულებში, ან სხვენებზე, რომლებიც კარგნად ნიავდება. ამასთან, ყოველდღიურად აბრუნებენ. გამშრალი ქერქი ხმაურით უნდა ტყდებოდეს. ინახავენ მშრალ ადგილებში ხუთი წლის განმავლობაში.

მუხის ქერქის ნაყენები გამოიყენება როგორც შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, გინვინიტების, ფარინგიტების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია მუხის ქერქის ნახარში (1:10). ამისათვის 20 გრამი (2 სუფრის კოვზი) დაქუცმაცებული ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დახურეთ თავსახური და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთის განმავლობაში, გააცივეთ 10 წუთი, გადაწურეთ. მიღებული ნახარში გააზავეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. ეს ნახარში გამოიყენება ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს გამოსავლებად 6-8-ჯერ დღეში. ასეთივე კონცენტრაციის ნახარში გამოიყენება კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავიდან სისხლის დენის, ნაწლავების ქრონიკული ანთების დროს. დალიეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ზოგჯერ ნაყენს ამზადებენ შემდეგნაირად: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა ცივ წყალს, აჩერებენ 6 საათის განმავლობაში, მიიღებენ 1/2 ჭიქას 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

# გია გეგუჩაძე: „ორივე მატჩში მოსაგებად ვიბრძოლებთ“



1 და 6 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნით ორ მატჩს ჩაატარებს. გია გეგუჩაძის გუნდი ჯერ ესტონეთს ესტუმრება, მერე კი ხორვატიას უმასპინძლებს და ევროშესარჩევსაც დაასრულებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 6-გუნდიან ჯგუფში 9 ქულით მეოთხე ადგილზეა და, სავარაუდოდ, ამავე ადგილზე დაასრულებს.

**გია გეგუჩაძე:**

– სამწუხაროა, რომ პრაქტიკულად უშანსოდ ვართ ჯგუფში, თუმცა მეორე მხარე შეგვიძლია დადებითადაც შევაფასოთ – უფრო თავისუფლად ვითამაშებთ, დავაკვირდებით ფეხბურთელებს, რომლებზეც მომავალ ციკლში იმედებს ვამყარებთ და ასეთი ფეხბურთელი ნამდვილად მრავლადაა. კარგად მესმის ამ მატჩების მნიშვნელობა და რადგან შანსი არ გვაქვს ჯგუფიდან გასვლის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შედეგზე არ ვითამაშებთ. მსგავსი რამ გამორიცხულია! ორივე მატჩში მოსაგებად გავალთ მოედანზე.

გია გეგუჩაძის გუნდი ესტონეთში 29 აგვისტოს გაფრინდება. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ტალინში 21 ფეხბურთელს იახლებს:

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (ლოკომოტივი), ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე საბურთალო);

**მცველები:** თორნიკე კირკიტაძე, გიორგი თევზაძე (ორივე დინამო თბ), გრიგოლ ჩაბრაძე, გაგი მარგველაშვილი (ორივე საბურთალო), ჯემალ ტაბიძე (გენტი, ბელგია), დაჩი ცნობილაძე (სამტრედია), ირაკლი კომახიძე (შუქურა);

**ნახევარმცველები:** მათე ცინცაძე, ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), გიორგი ხარაიშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი (ორივე საბურთალო), გიორგი გოროზია (სტაბეკი, ნორვეგია), ვალერიან გვილია (ბატე, ბელარუსი), ლევან ნონიკაშვილი (დილა);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი), გიორგი ბერიძე (გენტი, ბელგია), ბაჩანა არაბული, ბუდუ ზივზივაძე (ორივე სამტრედია).

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 7 | 6 | 0 | 1 | 19-4 | 18 |
| 2.შვედეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 15-3 | 16 |
| 3.ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-8 | 13 |
| 4.საქართველო | 8 | 3 | 0 | 5 | 14-15 | 9 |
| 5.ესტონეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-17 | 4 |
| 6.სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 1-21 | 1 |

# საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა შვედეთთან წააგო

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ ვლოცლავეკის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი წააგო. საქართველოს მეტოქე შვედეთი იყო, რომელსაც ნბა-ში ნათამაშები არც ჯეფრი ტეილორი ჰყავდა და არც იონას იერებკო, თუმცა ილიას ზუროსის გუნდს მაინც სძლია – 73:60.

მატჩამდეც ცნობილი იყო, რომ ზუროსის გუნდს ვერ დაეხმარებოდა თორნიკე შენგელია, ხოლო მალევე მაიკლ დიქსონმა მუხლის ტრავმა მიიღო, სულ 12 წუთი ითამაშა და დარჩენილ დროში ქართველებს ვერ დაეხმარა.

დანაკლისის გამო მეტი სათამაშო დრო მიეცათ სათადარიგოებს, მთლიანობაში კი ქართველებმა ის თამაში ვერ აჩვენეს, რაზეც ზუროსი გუნდს ავარჯიშებდა. ჩვენმა ნაკრებმა ვერ მოახერხა პერიმეტრის გადაკეტვა და 11 სამქულიანი მიიღო. სწორედ შორი სროლები გახდა მიზეზი წაგებისა, რადგან ფარქვეშ ქართველებს ნაკლები პრობლემები ჰქონდათ და მთლიანობაში მეტოქეზე 3-ით მოხსნა მიითვალეს.

მე-3 პერიოდში ქართველების ჩამორჩენა 14 ქულამდე გაიზარდა, მაგრამ მობილიზებისა და შეუპოვარი თამაშის წყალობით მეოთხედის დასრულებამდე 4 ქულამდე შევამცირეთ (52:56).

ქართველების შედეგიანმა თამაშმა დიდ ხანს ვერ გასტანა. მეტიც, ბოლო მეოთხედში მხოლოდ 6 ქულა ჩავაგდეთ. შვედებმა ბურთის სწრაფი გათამაშებითა და ზუსტი სროლებით მოახერხეს შეხვედრის გამარჯვებამდე ისე მიყვანა, რომ ვითარება ბოლო წუთებზე არ დაძაბულა – 73:60.

შვედებს 18 ქულით ტობიას ბორგმა ულიდერა. 13 ქულით დაასრულა შეხვედრა 4 სამიანის მიმთვლელმა ლუდვიგ ჰაკანსონმა, ხოლო კრისტოფერ შერაპოვიჩის ანგარიშზე 11 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრებში 15 ქულით ბომბარდირი გახდა ზაზა ფაჩულია, 13 ქულა და 7 პასი მიითვალა გიორგი ცინცაძემ, დუდა სანაძის ანგარიშზე კი 10 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები მასპინძელ პოლონეთთან გამართავს, რომელიც ბელგიასთან 53:55 დამარცხდა.



# მარსელ კოლერმა საქართველოსთვის შემადგენლობა დაასახელა

ავსტრიის ნაკრების თავკაცმა მარსელ კოლერმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც თბილისში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებთან ათამაშებს.

ავსტრიელთა შემადგენლობაში 4 დებიუტანტია: ანდრეას ლუკსე, შტეფან შტანგლი, ლუის შაუბი და მიხაელ გრეგორიჩი.

კოლერმა ახალი კაპიტანი, რომელიც ნაკრებიდან წასულ ფუხსს ჩაანაცვლებს, არ დაასახელა, ჯერ ფეხბურთელებს უნდა დაველაპარაკოო.

**მარსელ კოლერი:**

– ეს არ არის ახალი ავსტრიის ნაკრები, ჩვენ კი არ ვიწყებთ, არამედ ვაგრძელებთ. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებთან თამაშს, ის მძიმე იქნება, რადგან მეტოქეს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და ეს იმის მიუხედავად, რომ საქართველო ბოლო კალათიდან გვერგო მეტოქედ. საფრანგეთში განცდილი კრახი ჯერ არ დაგვივიწყებია, კიდევ ბევრი რამ არის გასაანალიზებელი.

**ავსტრიელთა შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** რობერტ ალმერი (აუსტრია), ანდრეას ლუკსე (ალტახი), რამაზან იოზკანი (ლევერკუზენი, გერმანია);



**მცველები:** ალექსანდარ დრაგოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), მარტინ ჰინტერეგერი, შტეფან შტანგლი (ორივე ზალცბურგი), ფლორიან კლაინი (შტუტგარტი, გერმანია), სებასტიან პრიოდლი (უოტფორდი, ინგლისი), მარკუს ზუტნერი (ინგოლშტადტი, გერმანია), კევინ ვიმერი (ტოტენჰემი, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** დავიდ ალაბა (ბაიერნი, გერმანია), მარკო არნაუტოვიჩი (სტოკი, ინგლისი), იულიან ბაუმგარტლინგერი (ლევერკუზენი, გერმანია), მარტინ ჰარნიკი (ჰანოვერი, გერმანია), შტეფან ილზანკერი, მარსელ ზაბიტცერი (ორივე ლაიფციგი, გერმანია), ზლატკო იუნუზოვიჩი (ვერდერი, გერმანია), ვალენტინო ლაზარო (ზალცბურგი),ლუის შაუბი (რაპიდი), ალესანდრო შიოპფი (შალკე, გერმანია);

**თავდამსხმელები:** მიხაელ გრეგორიჩი (ჰამბურგი, გერმანია), ლუკას ჰინტერზეერი (ინგოლშტადტი, გერმანია), მარკ იანკო (ბაზელი, შვეიცარია).

# საქართველოს თასი: სენსაციები გაგრძელდა



საქართველოს დავით ყიფიანი სახელობის თასის პირველი ეტაპის ბოლო 3 მატჩი გაიმართა. პირველ სათამაშო დღეს დაწყებული სენსაციები გაგრძელდა და ასპარეზობას კიდევ ერთი უმაღლესლიგელი გამოეთიშა.

**კოლხეთი (ხ)-ცხინვალი 2:0**

ხობი. ცენტრალური

1:0 ბაკურაძე (33), 2:0 ბუკია (90)

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ხობში, სადაც გია გურულის შეგირდებმა საკუთარ მოედანზე უმაღლესლიგელი ცხინვალი მიიღეს და 2:0 გაიმარჯვეს. გოლები ბექა ბაკურაძისა და ცოტნე ბუკიას ანგარიშზეა.

**ბორჯომი-საპოვნელა 4:0**

ბორჯომი. ჯემალ ზეინკლიშვილი

1:0 კობესაშვილი (20), 2:0 როსტობაია (37), 3:0 ბურძენაძე (41), 4:0 პავლიაშვილი (87)

დამაჯერებლად იმარჯვა ბორჯომმა. კობა თედიაშვილის გუნდმა საკუთარ მოედანზე საპოვნელას უმასპინძლმა და მეტოქეს 4 უპასუხო გოლი გაუტანა. მასპინძლებმა შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს და დარჩენილ დროში მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

**ოდიში-გარდაბანი 3:2 (დდ)**

1:0 ღონღაძე (67), 1:1 მარგველაშვილი (89), 2:1 ჩანგელია (95), 2:2 კაშია (114), 3:2 ღიბრაძე (120)

დაძაბული გამოდგა ზუგდიდში ჩატარებული შეხვედრა. ფრედ დასრულებული ძირითადი დროის შემდეგ გამარჯვებული დამატებითი დროის ბოლო წუთზე გამოვლინდა.

ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. დამატებით დროში კვლავ ზუგდიდელები დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე დამატებითი ტაიმის მიწურულს გარდაბნელებმა გათანაბრება მოახერხეს. მასპინძლებმა საქმე პენალტებამდე არ მიიყვანეს და შემდეგ ეტაპზე გასვლა არ გაირთულეს – ბოლო, 120-ე წუთზე ირაკლი ღიბრაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

პირველ ეტაპზე გამოვლენილ 12 გამარჯვებულს 4 გუნდი დაემატება, რომლებმაც მიმდინარე სეზონის ევროთასებზე მიიღეს მონაწილეობა. შედეგად 16 გუნდი მერვედფინალურ ეტაპზე განაგრძობს ასპარეზობას. შემდეგი ეტაპის წილისყრა 30 აგვისტოს გაიმართება.

მერვედფინალში გავიდნენ: გურია, მერანი, ტორპედო, ლიახვი, კოლხეთი (ფ), სულორი, ლოკომოტივი, სიონი, ჩხერიმელა, კოლხეთი (ხ), ბორჯომი, ოდიში, დინამო (თბ), დილა, სამტრედია და ჩიხურა.

# გიორგი ლორია რუსეთის პრემიერლიგაში საუკეთესოა



რუსული გაზეთი სპორტ-ექსპრესი რუსეთის პრემიერლიგის ყოველი ტურის შემდეგ ფეხბურთელებს ქულებით აფასებს.

შეჯამების შედეგად კი როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ პოზიციებზე საუკეთესო ფეხბურთელებს ავლენს.

ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ფეხბურთელი გიორგი ლორიაა, რომელიც 6,88 ქულით ლიდერობს პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო სამეულში მეკარეები არიან.

ცენტრალური მცველების პოზიციაზე მე-8 ადგილზეა გიორგი ჯიქია, რომელიც ამკარის ფეხბურთელია. ერთია, ჯიქიას რუსეთის მოქალაქეობა აქვს.

მარცხენა ნახევარმცველებს შორის მე-4 ადგილზეა ჩისამბა ლუნგუ, რომელსაც ქართული პასპორტი აქვს და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, თუმცა შემდეგ ზამბიის ნაკრებში ითამაშა და აფრიკის ერთა თასის გამარჯვებულიც გახდა.

სხვა ქართველი ლეგიონერები საუკეთესოთა შორის არ ფიგურირებენ.

## შედეგები

24 აგვისტო

ფეხბურთი

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

აპოელი-კოპენჰაგენი ...................... 1:1
როსტოვი-აიაქსი ............................ 4:1
ზალცბურგი-დინამო (ზ) ....... 2:3 (დდ)
გლადბახი-იანგ ბოიზი .................. 6:1
სიტი-სტიაუა .................................. 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ისლამისტი პოლიტიკოსები პლაჟზე სექსის დროს გამოიჭირეს



ტრადიციული მუსლიმანური ფასეულობების დამცველი პოლიტიკოსები მაროკოს პლაჟზე სექსის დროს გამოიჭირეს. ინტიმური ურთიერთობა წყვილს ქალაქ კასაბლანკადან 25 კილომეტრში მდებარე სანაპიროსთან გაჩერებულ მანქანაში ჰქონდათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 63 წლის მულაი ომარ ბენჰამადი და 62 წლის ფატიმა ნეჯარი მოძრაობა „ისლამური ერთიანობა და რეფორმების“ პარტიის იდეოლოგიური ფრთის სამართლიანობა და განვითარება ვიცეპრეზიდენტები არიან.

ახალგაზრდობისთვის გაკეთებულ მოწოდებებში ისინი არაერთხელ მოუწოდებდნენ მოთმინებისა და სიბრძნისკენ, გამოდიოდნენ უკანონო სექსისა და კანონიერი მეუღლეებისთვის ღალატის წინააღმდეგ. კერძოდ, ფატიმა სოციალური ქსელების საშუალებით მოუწოდებდა სტუდენტ გოგონებს, არ აჰყოლოდნენ ცდუნებას. ის ყოველთვის მხოლოდ მუსლიმანურ ჩასაცმელში გამოწყობილი დადიოდა.

პოლიტიკოს მამაკაცსა და ქალს ადიულტერის ბრალდება წაუყენეს, ვინაიდან ქორწინების გარეშე სექსი მაროკოში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ბენჰამადს თანამდებობის პირის მოსყიდვის მცდელობის ბრალდებაც წარედგინება.

# ფრანგმა პოლიციელებმა მუსლიმან ქალს ბურკინი გაახდევინეს

საფრანგეთის ქალაქ ნიცის პოლიციელებმა პლაჟზე მყოფი მუსლიმანი ქალი აიძულეს, საცურაო კოსტიუმი ბურკინი გაეხადა. ოთხმა შეიარაღებულმა სამართალდამცავმა მუსლიმან ქალს ასევე მოსთხოვა, 38 ევროს ოდენობის ჯარიმა გადაეხადა პლაჟზე რელიგიური ჩასაცმელის ტარების აკრძალვის მუნიციპალური წესების დარღვევისთვის.

ალსანიშნავია, რომ კანში, ნიცაში, ვილნევ-ლუბესა და ლაჟვარდოვანი სანაპიროს სხვა ქალაქებში ბურკინის ტარებაზე აკრძალვის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ რეგულარულად ვრცელდება ამ კანონის დარღვევების თაობაზე.




# მოდის დეფილეზე შლეიფის სიგრძის რეკორდი დამყარდა



ახალ ზელანდიაში გამართული მოდის კვირეულის ფარგლებში ყველაზე გრძელი შლეიფის რეკორდი დამყარდა, რომელიც მოდის დეფილეზე იქნა წარმოდგენილი.

რეკორდული გამოდგა ოკლენდელი დიზაინერის ტრიშ პენის კაბა. ეს არის წითელი ფერის საქორწინო კაბა 20 მეტრი სიგრძის შლეიფით.

როგორც მოდელიერის პრესმდივანმა განაცხადა, კაბის შესაქმნელად კრისტიან დიორის მაქმანები იქნა გამოყენებული. გარდა ამისა, კაბა დამშვენებულია ასობით სვაროვსკის კრისტალით. მის შესაქმნელად 120 საათის მუშაობა გახდა საჭირო. ამასთან, ამ პროცესში ოთხი ადამიანისგან შემდგარი გუნდი მონაწილეობდა. კაბის ღირებულება 8 ათას ახალზელანდიურ დოლარს (თითქმის 6 ათასი აშშ დოლარი) შეადგენს.

პენის თქმით, მან წითელი ფერი უფრო მეტი ეფექტისთვის შეარჩია.

# მეტროპოლიტენ-ოპერა თავისი ჭაღების ასლებს ყიდის



ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-ოპერა თავისი სახელგანთქმული ჭაღების ასლებს ყიდის. მათი ღირებულება 19 ათასიდან 83 ათას დოლარამდე მერყეობს, გამომდინარე მათი ზომებიდან.

თეატრისთვის ორიგინალური ჭაღები ჰანს ჰარალდ რატმა შექმნა, რომელიც ვენური კომპანიის მადლობელი იყო. ავსტრიის ხელისუფლებამ 23 ჭაღი მეტროპოლიტენ-ოპერას საჩუქრად 1966 წელს გადასცა.

ალსანიშნავია, რომ ასლების ფასები სუვენირების მაღაზიების ჩვეულებრივ ფასებს აღემატება, თუმცა ასეთი ტიპის მანათობლების ღირებულებასთან შედარებით დაბალია.

თეატრის ადმინისტრაცია არ ამხელს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენი ასეთი ჭაღია ამ დროისთვის უკვე გაყიდული.

# ნახევარი მილიონი ევრო გადაგდებულ მტვერსასრუტში აღმოაჩინეს

პოლონეთის ქალაქ კოლობჟეგის ნაგავსაყრელის თანამშრომლებმა ძველ მტვერსასრუტსა და აუდიოდინამიკში, საერთო ჯამში, ნახევარი მილიონი ევროს ბანკნოტები იპოვეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დავიწყებული შენახული ფული მოძრავ ბილიკზე გადმოიყარა, რომელიც ნარჩენების გადასაადგილებლად გამოიყენება. ნაგავსაყრელის თანამშრომლებმა ნაპოვნი თანხა პოლიციაში მიიტანეს.

სამართალდამცავებმა მოახერხეს და დაადგინეს, თუ ვის ეკუთვნოდა ბანკნოტები. მისმა მფლობელმა საკმაოდ მალე მოისაკლისა გადანახული თანხა და თავად მიმართა დახმარებისთვის სამართალდამცავებს.

მამაკაცმა პოლიციელებს აუწერა მტვერსასრუტი და აუდიოდინამიკი, ასევე მათი ნაგავში გადაყრის თარიღიც დაასახელა, რის შემდეგაც ეჭვიც აღარ შეჰპარვია იმაში, რომ ფული მართლაც მას ეკუთვნოდა.

გადაუხადა თუ არა მადლობა ნაგავსაყრელის თანამშრომლებს ფულის პატრონმა, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ჩვენს საყვარელ
## გიორგი დვალს
ვულოცავთ დაბადების დღეს,
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მუდამ
წინსვლას ცხოვრებაში, საამაყო ოჯახის
თავკაცობას, შვილების გამრავლებას.
*გივი ჭყოიძის ოჯახი*

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# ასტროპროგნოზი
## 26 აგვისტოსთვის



**ვერძი** – იაქტიურეთ. გაგიმართლებთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით – პროფესიონალურში. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები. **კურო** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ურთიერთობების არეალის გაფართოებას, ცოდნის შეძენას, ახალი ინფორმაციის მიღებას, რომელსაც თქვენ სასარგებლოდ წარმატებით გამოიყენებთ. **ტყუპები** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ გადაიღლებით. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. დროა, ოჯახური ურთიერთობები ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. იაზროვნეთ პოზიტიურად, რათა შედეგიც პოზიტიური მიიღოთ. **ქალწული** – ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა ისადგურებს. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ახალი სამსახურიც იშოვოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. შესაძლოა, ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალოთ. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ინტიმურ სფეროში. გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. **მერწყული** – გელით საინტერესო შეხვედრა. მიღებული ინფორმაცია გაგახარებთ და რწმენით აღგავსებთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. ზომიერების დაცვა არ დაგავიწყდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 2. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. უბანი თბილისში; 11. ობიექტურად არსებული რეალობა; 13. ფრანგული იავნანა; 15. ლუთერანული ეკლესია; 16. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. იგავ-არაკთა მამამთავარი; 19. მდინარე ევროპაში.

**თარაზულად**: 6. ისრაელის პრეზიდენტი; 8. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 9. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 10. სამხედრო გემების მსხვილი შენაერთი; 12. ღვინის სასმისი; 14. მეფის მრჩეველი; 17. ხილის წვენების პიურესაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 20. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. გულუხვი მასპინძელი; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბეკერი; 2. პეჟო; 3. სამშვილდე; 4. კინტო; 5. ბაიკალი; 8. ტვენტე; 9. კარდინალი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. ბორისპოლი; 6. კაროლინა; 7. კორტეჟი; 9. კრიშნა; 10. თორა; 11. ანანური; 13. ბახში; 15. ბოჰემა; 17. მეოტიდა; 18. მცხეთა; 19. ელინგი; 20. ფილიპსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქარაგმა; 2. ჯაპანა; 3. ნობელიუმი; 4. აირანი; 5. ჰელსინკი; 7. ქოსა; 11. რეფორმა; 13. კაჭკაჭი; 15. ჰობოი; 16. მოძმე; 18. ნიკეა; 19. ლინზა.

**თარაზულად:** 6. აფექტი; 8. კანტონი; 9. გურიელი; 10. გუდაური; 12. განდი; 14. ლიმანი; 17. მაჭანკალი; 20. სორბონა; 21. ქორქია; 22. ეფუზია; 23. ხელბურთი.

# ლაურა რეხვიაშვილი მართას როლს აზერბაიჯანულ ენაზე ითამაშებს



ლაურა რეხვიაშვილმა ახალ როლზე დაიწყო მუშაობა. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ მალე თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგმება და სპექტაკლში ლაურა რეხვიაშვილი მართას როლს ითამაშებს.

სპექტაკლს ვარლამ ნიკოლაძე დგამს, რომელიც თბილისის აზერბაიჯანული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რამდენიმე თვეა, დაინიშნა.

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი ავარიული შენობისა და განადგურებული ინფრასტრუქტურის გამო პრემიერას კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრში ითამაშებს და თავის მაყურებელსაც იქ უმასპინძლებს.

# ბრიტანეთში ყველაზე მეტ ფულს ყატარელები ხარჯავენ

ფუნტის კურსის დაცემის ფონზე ყველაზე მეტ ფულს დიდ ბრიტანეთში ყატარელი ტურისტები ხარჯავენ.

აღმოჩნდა, რომ 2016 წლის ივლისში საერთაშორისო შოპინგი გაერთიანებულ სამეფოში, ერთი წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით, 7 პროცენტით გაიზარდა და ეს ყოველივე ხდება ფუნტის კურსის დაცემის ფონზე, რომელიც ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე რეფერენდუმის შედეგების შემდეგ დაიწყო.

ამ დროისთვის ყველაზე აქტიური მყიდველები ყატარელი ტურისტები აღმოჩნდნენ, მათი ერთი ტრანზაქციის საშუალო მაჩვენებელი 1,6 ათას ფუნტს აღემატება.

მეორე ადგილზე ამ მაჩვენებლით არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქალაქეები არიან, ხოლო მესამეზე საუდის არაბეთის მოქალაქეები არიან. შემდეგ კი რუსეთისა და ჩინეთის მოქალაქეები მოდიან.

# კანადელებს გენდერულად ნეიტრალური ტუალეტები მოეწონათ




კანადის ქალაქ ტორონტოში მიმდინარე ეროვნული გამოფენის დამთვალიერებლებმა სოციალურ ქსელებში ქება არ დაიშურეს გენდერულად ნეიტრალური საზოგადოებრივი ტუალეტების მისამართით.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი ინტერნეტრესურსი განმარტავს, გადასატანი ტუალეტების კარზე განთავსებულია ნახატი ადამიანის ფიგურით, რომელსაც ერთდროულად შარვალიც აცვია და კაბაც და რომელსაც ახლავს წარწერა „ჩვენთვის სულ ერთია“.

ინტერნეტმომხმარებლები ტუალეტის კარის სურათს აქვეყნებენ ხეშტეგის თანხლებით და აღნიშვნით, რომ „მაგარია“ და „კანადის სტილშია“.

– ორივე სქესისთვის განკუთვნილი საპირფარეშო უფრო მეტ გამტარობას უზრუნველყოფს, – წერს ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მანანა გაგნიძის
### მონატრება



უდიდესი ტკივილით, ცრემლითა და გამოუთქმელი მწუხარებით მესამედ ვხვდები უშენოდ შენს დაბადების დღეს – 28 აგვისტოს.

ჩვენ ხომ სტუდენტობის პირველი წლიდან სულ ერთად ვიყავით, მერე კი სტუდენტობიდანვე ოჯახი შევქმენით. გვიხაროდა გაზაფხულის მოსვლა, სოფელში ერთად წასვლა, ჩვენი შრომით შექმნილი სამყოფელის მოვლა, შვილებთან და მეზობლებთან იქ გატარებული დღეებით ტკბობა. 2014 წლის 15 თებერვალს ეს ყველაფერი გაქრა, დამთავრდა. დამთავრდა ჩვენი 54 წლის ბედნიერება, სიყვარული და უზომოდ ტკბილი დღეები, რომელიც დაუსრულებელი გვეგონა. ერთი ცხოვრება ძალიან მოკლე აღმოჩნდა ჩვენი სიყვარულისა და ბედნიერებისთვის. მძიმე და ტკივილიანი გამოდგა ჩემთვის უშენოდ გატარებული ყოველი დღე. დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენოდ ჩემი ცხოვრება ჰქვია. ღირსეულად იცხოვრე, წახვედი და დაგვიტოვე შეუბღალავი სახელი, ტკივილი და სევდა.

მადლობა უფალს, რომ იყავი ჩვენთან, გვატკბობდი სითბოთი და სათნოებით.

დღეს დამწუხრებული და თავდახრილი ვეფერებით შენს განსასვენებელ სასუფეველს – შენი მეუღლე, შვილები, რძლები და შვილიშვილები. გვენატრები ყველას და ამ მონატრებას მანანა გაგნიძე ჰქვია.

სამარადისოდ გაგინათოს სასუფეველი ჩვენმა დანთებულმა სანთელმა! სიმშვიდე დაუმკვიდროს უფალმა შენს ლამაზ და უმანკო სულს!

შენი ოჯახი

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ანიტა რაჭველიშვილი ალცჰაიმერით დაავადებულებისთვის იმღერებს



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი ალცჰაიმერით დაავადებულებისთვის იმღერებს.

ანიტა და იტალიური როკჯგუფი პროფიუჟენი საქველმოქმედო აქციას ახორციელებენ. პროფიუჟენის ხელმძღვანელი ქართველი მუსიკოსი ლადო სიჭინავაა, რომელიც დიდი ხანია იტალიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

როკჯგუფი მან მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა. ჯგუფში ქართველი მხოლოდ ლადოა. ის დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს და სიმღერების წერის პროცესშიც აქტიურად მონაწილეობს. ანიტასა და ლადოს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ და ყოველთვის ჰქონდათ ერთობლივი მუსიკის ჩაწერის იდეა, სადაც როკი და ოპერა გაერთიანდებოდა.

ანიტა ჯგუფის მეორე ალბომის ჩაწერაში მონაწილეობს. ქართველი მეცოსოპრანო ალბომის საპატიო სტუმარია. სწორედ ჯგუფის მეორე ალბომში შევა სიმღერა, რომელიც ალცჰაიმერით დაავადებულებს ეძღვნებათ.

# ქართველი მხატვრის ნამუშევარი ნიუ იორკის პრესტიჟულ გალერეაში გამოიფინება



24 წლის ლევან სონღულაშვილი წლებია ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის ქართველმა საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც მისი ნამუშევარი მედუზა სოთბის აუქციონზე გაიყიდა.

ამჟამად ლევანის ნამუშევარი მანჰეტენზე მდებარე ნიუ იორკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გალერეაში გამოიფინება, სადაც 15 საერთაშორისო ხელოვანის უნიკალური ჯგუფური გამოფენა სახელწოდებით „მეოთხე კედელი“ გაიხსნება.

გამოფენისთვის საგანგებოდ შერჩეულ არტისტებს შორის არიან ლეგენდარული ნორვეგიელი ფერმწერი ოდ ნერდრუმი, ადამ მილერი, ბარნაბი ვიტფილდი, რიჩარდ სკოტი და ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი.

ექსპოზიციის ნახვა დამთვალიერებლებს 10 სექტემბრამდე შეეძლებათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სონია რიკელი გარდაიცვალა



გარდაიცვალა ფრანგი დიზაინერი სონია რიკელი. ამ ინფორმაციას საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის სამმართველოზე დაყრდნობით ასოშეიტედ პრესი ავრცელებს. მოდელიერი 86 წლის იყო.

ოლანდმა რიკელს უწოდა მოდის პიონერი, რომელმაც ქალებს მოძრაობის თავისუფლება შესთავაზა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს რიკელმა გამოცემა ვოგს განუცხადა, რომ 15 წლის განმავლობაში პარკინსონის დაავადებისგან იტანჯებოდა.

რიკელი 1930 წლის 25 მაისს დაიბადა პარიზში. საფრანგეთის დედაქალაქში მისი პირველი მაღაზია 1968 წელს გაიხსნა. დიზაინერის კლიენტები იყვნენ ბრიჯიტ ბარდო, კატრინ დენევი, ოდრი ჰეპბერნი. 2009 წელს საპატიო ლეგიონის ორდენი მიენიჭა.

მოდელიერს სემ რიკელთან ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს.

# ჯულია ჰარტი ლა პერლას კრეატიული დირექტორი გახდა



საცვლების იტალიური მწარმოებლის ლა პერლას ახალი კრეატიული დირექტორი ჯულია ჰარტი გახდა. ამ ინფორმაციას თავად კომპანია ავრცელებს. ის ამ თანამდებობაზე ბრაზილიელ პედრო ლორენცოს შეცვლის.

ჰარტის პირველი კოლექცია ბრენდისთვის 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია იქნება, რომლის წარდგენა მიმდინარე წლის შემოდგომაზე მილანში გამართულ მოდის კვირეულის დროს მოხდება.

ჰარტი ფეხსაცმელების ბრენდ ჯულია ჰარტის დამაარსებელი და დიზაინერია. რაც შეეხება ლა პერლას, ეს კომპანია 1954 წელს შეიქმნა და საცვლებს, საცურაო კოსტიუმებსა და საშინაო ჩასაცმელებს უშვებს, ასევე პარფიუმერიას.

# ამერიკის ყველაზე პოპულარული პლაჟები



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ აშშ-ის ყველაზე პოპულარული პლაჟები დაასახელა. თავისი გამოკვლევისთვის გამოცემამ სხვადასხვა წყარო გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პლაჟი ცნობილია, მაშინ როდესაც ზოგიერთის სიაში მოხვედრამ შესაძლოა გაკვირვება გამოიწვიოს, ვინაიდან ისინი მოგზაურობისა და დასვენების მოყვარულთა უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ უცნობია.

პირველ ადგილზე გავიდა მერტლ-ბიჩი (სამხრეთ კაროლინა), სადაც ყოველ წელს 17,9 მილიონი ტურისტი ჩადის.

მეორე პოზიციაზეა კონი-აილენდ/ბრაიტონ-ბიჩი (ნიუ იორკი), რომელსაც ყოველ წელს დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი სტუმრობს.

მესამე ადგილი მიეკუთვნა ჰანტინგტონ-ბიჩს (კალიფორნია), რომლის სტუმრების რაოდენობა 11 მილიონს აღემატება.

სიაში მეოთხე ადგილზე სანტა-მონიკაა (კალიფორნია). გასულ წელს ამ კურორტს 8,3 მილიონი ტურისტი სტუმრობდა.

მეხუთე პოზიციაზე გავიდა ოუშენ-სიტი (მერილენდი), 8 მილიონი ტურისტით. მეექვსე ადგილი უკავია პალმ-ბიჩს (ფლორიდა).

მეშვიდე ადგილი ერგო რეჰობოტ-ბიჩს (დელავერი).

სიაში მერვე პოზიციაზეა გალვესტონი (ტეხასი), ხოლო მეცხრეზეა ვაიკიკი (ჰავაის კუნძულები). მეათე ადგილი მიეკუთვნა მაიამი-ბიჩს (ფლორიდა).

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

## პარასკევი 26 აგვისტო

07.00 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. მზის შტორმი" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი. "იორინდა და იორინგელი" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.30 მხ/ფ "**სიყვარული თუ ფული**"(ბ.ზონენფელდი) 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 15.00 დ/სერ. "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. კაცობრიობის განვითარება" 20.00 მოამბე+მოამბის სტუმარი 21.30 სოციალური თოქ-შოუ "რეალური სივრცე" 23.30 მხ/ფ "**მწვანე მილი**

08.00, 14.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 10.00"გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**ნევერლენდი**"2 ნაწ. 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 17.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 18.30 ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" 19.30"ტელებლოგი" 20.00"მოამბე" (5 ენაზე) 21.00"ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა** 23.00"მოამბე" (5 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 07.00, 14.40 სერ. "**ფიცი**" 08.00, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბამბის ველი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 11.20 სერ. "**ქუმონგი**" 12.30 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 9 სერ. 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 5**" 23.00 სერ. "**სპარტაკი**"–3" 7 სერ. 00.00 მხ/ფ "**რევოლვერი**" 02.15 მხ/ფ "**ეს უხერხული მომენტი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 12.30 სერ. "**გაბრიელა**" 08.45, 09.15 სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**"1ს 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45, 19.45, 20.05 სერ"**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 00.00 ქერის უბანი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 08.00 ან/სერ. - "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 01.05 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 2.30 სერ. "**ძვლები**" 14.00 მხ/ფ "**ბეჭდების მბრძანებელი**" 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 მხ/ფ "**ჩვეულებრივი ხალხი**" 23.35 სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "სამეგრელო-ლეჩხუმის მღვიმე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" კოლაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ანიმაციური ფილმი 11.25 ლექციები მეფუტკრეობაზე-დედა ფუტკარი 12.10 პორტრეტები "მაია თომაძე" 13.15 ერთხელ ბავშვობაში "მზექალა შანიძე" 13.40 საყმაწვილო ენციკლოპედია 14.00 დეკორატიული ფლორა 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.00 ჩვენი ფონდი "გიორგი ოთხმეზური-აფხაზეთის შესახებ" 16.20 მიწათმოქმედი "მევენახეობა და მეღვინეობა" 16.40 დ/ფ "ბრძოლის საიდუმლო" 17.30 ჩვენი საგანძური "ყანჩაელის სავანე" 18.10 დ/ფ "ოთარ ჭილაძე-გზა შინისაკენ" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "წისქვილი ქალაქის გარეუბანში" 20.40 ძილი ნებისა "ბატი ტასიკო" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "ვიქტორ გაბისკირია" 21.40 დ/ფ "9 კოლაელი ყრმა" 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ნადარბაზევი და კლდეისი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი 23.45 გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა "მცხეთის რაიონი, სოფ. სამება" 01.00 მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" X სერ.

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 2.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**ქარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.55, 19.05 სერ. "**მოლოდინის სია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.00 სერ. "**ჩემი ერთა-დერთი სიმღა**" 21.50 "ღამის კონტაქტი" 22.45 მხ/ფ "**მახე**" 23.30 მხ/ფ "**მეჯვარე**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 აგვისტოსთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2976

ევრო — 2.5915

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0418

100 რუსული რუბლი — 3.5571

**ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსთვის**





## 23 აგვისტოდან

**წიგნი სიყვარულისა**

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 აგვისტოდან



ერნესტ ჰემინგუეი

**განუყრელი დღესასწაული**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 25 აგვისტოდან

**ძველი გულებისა და ხმლისა**

აკა მორჩილაძე

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## იუმორი



ახალგაზრდა გოგონა მაღაზიის გამყიდველს ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვით, რა განსხვავებაა ამ ორ მობილურ ტელეფონს შორის?

– ეს ორი მობილური ტელეფონი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ ერთი პლეერია, ხოლო მეორე ფოტოაპარატი.

•••

ერთი ქალი მეორეს მანქანის ტარებას ასწავლის და ეუბნება:

– საჭესთან უმთავრესია ყურადღების კონტრაცეპცია და სწრაფი ერექცია.

– ალბათ ყურადღების კონცენტრაცია და სწრაფი რეაქცია, ხომ?

– და აბა, მე რა ვთქვი?

•••

პირველი ღამის მერე, დილით პატარძალი აივანზე გამოვიდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ეზოც რა პატარა ჰქონია...

ამ დროს სიძეც გამოვიდა და მანაც ჩაილაპარაკა:

– შენ სუსტი სქესი ეძახე და რამხელა ენერგია მიაქვს, კაცოო...

•••

კაცი ჯვარს იწერს და მღვდელს ეკითხება:

– რამდენი უნდა გადავიხადო?

– რამდენიც ეს პატარძალი ღირს, იმდენი გადაიხადე.

სიძემ ჯიბიდან რკინის ლარიანი ამოიღო და მამაოს ხელში ჩაუდო. მღვდელმა გაოცებულმა შეხედა, მერე პატარძალთან მივიდა, ფატა აუწია სახეზე შეათვალიერა, მერე ჯიბიდან 50 თეთრიანი ამოიღო და სიძეს მიაწოდა:

– აჰა, ხურდა გეკუთვნის.

•••

ენაბლუ ბავშვი მამას ეუბნება:

– მამი, სა... სა... სამი ლარი მომეცი რა!

– წესიერად თქვი, შე შობელძაღლო, თორემ ცხრა ლარი გამოვიდა!

•••

ერთი ნარკომანი მეორეს ეკითხება:

– ეგ რა არის, ტო, ორივე ნეკა თითი თაბაშირში რატომ გაქვს?

– მოვიტეხე, რა.

– როგორ, ტო?

– ყურებს ვიფხანდი და ცხვირმა დამაცემინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 26 აგვისტოდან

ბორის აკუნინი

გრიგოლ ჩხარტიშვილი

**სასაფლაოს ამბები**



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## შვაინშტაიგერი შესაძლოა ამერიკაში აღმოჩნდეს



ჟოზე მაურინიოს მისვლის შემდეგ ბასტიან შვაინშტაიგერი ახალგაზრდულ გუნდში გადაიყვანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მანჩესტერში მასზე იმედებს არ ამყარებენ. ამას თვითონ გერმანელი ფეხბურთელიც ხვდება და ის ახალი კლუბის ძიებაშია. შვაინშტაიგერმა განაცხადა, რომ ევროპაში თამაშს აღარ აპირებს და შესაძლოა ამერიკას მიაშუროს, თუმცა ამისთვის მას მანჩესტერ იუნაიტედთან კონტრაქტის გაწყვეტა მოუწევს.

ბასტიანი უკვე სოლიდურ საფეხბურთო ასაკშია. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მაურინიომ მასზე უარი თქვა. რაც შეეხება მანჩესტერს, მას შვაინშტაიგერის გაყიდვის დიდი სურვილი აქვს, რადგან გერმანელს ძალიან მაღალი ხელფასი აქვს.

## დრინკვოტერმა ლესტერთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი



ლესტერის ერთ-ერთმა წამყვანმა ნახევარმცველმა დანიელ დრინკვოტერმა გუნდთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

დრინკვოტერი შარშანდელ სეზონში ნგოლო კანტესთან ერთად ლესტერის ნახევარდაცვის ლიდერი იყო და ამ გუნდის წარმატება დიდწილად მისი დამსახურებაა. დრინკვოტერს ჰქონდა რამდენიმე კლუბისგან შემოთავაზება, მაგრამ მან ლესტერში დარჩენა ამჯობინა, სადაც ის 2012 წლიდან თამაშობს.

## ბარსელონამ იასპერ სილესენი იყიდა



ჰოლანდიელი მეკარე იასპერ სილესენი გუშინ ბარსელონაში ჩავიდა და მალე კონტრაქტს ხელს მოაწერს. კონტრაქტი ხუთწლიანი იქნება, ბარსელონა კი ამ ტრანსფერში 13 მილიონ ევროს გადაიხდის.

სილესენის ოფიციალური პრეზენტაცია პარასკევს მოხდება და მალე ის უკვე შეძლებს ბარსელონის მაისურით მოედანზე გამოსვლას. თუმცა მისი როლი ბარსელონაში ბოლომდე გარკვეული არ არის და, სავარაუდოდ, ის სათადარიგო მეკარე იქნება, ხოლო პირველი გოლკიპერი გერმანელი მარკ ანდრე ტერ შტეგენი გახდება, რომელიც უკვე დიდი ხანია, ამისთვის ემზადება.

## ნაპოლი ჰარი კეინით დაინტერესდა

გონსალო იგუაინის წასვლის შემდეგ ნაპოლი ახალი ფორვარდის ძიებაშია. იგუაინის ტრანსფერში ნეაპოლელებმა 90 მილიონზე მეტი მიიღეს, ამიტომ მათ აქვთ საშუალება, ხმაურიანი ტრანსფერები განახორციელონ.

მათი სამიზნე ლონდონის ტოტენჰემის ფორვარდი ჰარი კეინია, რომელიც ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ თავდამსხმელად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მან ევროპის ჩემპიონატი ძალიან ცუდად ჩაატარა.



ტოტენჰემი კეინს იაფად არ გაუშვებს, ამიტომ იტალიელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ. ჰარი კეინი მხოლოდ 23 წლის არის და ტოტენჰემში 2013 წლიდან თამაშობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. 50-იანი წლების პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 3. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუასაუკუნეების საქართველოში; 8. სამურაბე ლამბაქი; 9. სხვადასხვა ფერის, მინის მსგავსი, არაგამჭვირვალე მასა, ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარად; 12. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. საჭმელი სოკო; 10. ციხე-სიმაგრე ძველ თბილისში; 11. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 13. დაბა სიღნაღის რაიონში; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 19. შარლ გუნოს ოპერა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

